საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 6 ივლისი. 2016 წ. №124 (8016), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გალანწუნება მთავლემარე ამომრჩევლისთვის!

როდემდე უნდა გვაცხოვრონ ესოდენ მომრავლებულმა მუქთახორა პარტიებმა ცრუ დაპირებებით?!

პენსია 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თურმე 350 ლარი შეიძლება რომ გახდეს! ოღონდ, არაერთხელ მოტყუებულო ამომრჩეველო, ერთხელ კიდევ საბედისწეროდ უნდა მოიტყუო თავი, ანუ ყველა ბოროტება უნდა შეუნდო დამნაშავე ნაციონალებს და გაიყვანო პარლამენტში, თუ გინდა, რომ ოქტომბრიდანვე 50 ლარი დაგემატოს პენსიაზე, ხოლო თუ ასევე ხელისუფლებას აზიარებ „თავისუფალ დემოკრატებს“, ეგრევე 300 ლარი გაგიხდება პენსია. იმ შემთხვევაში კი თუ ნაციონალები და „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციას შეკრავენ, რაც ადვილი მოსალოდნელია, შენი ყოველთვიური პენსია უკვე 350 ლარი იქნება!

იმედია, მოიავნანე პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“ ტოლს არ დაუდებს არც ნაციონალებს, არც „თავისუფალ დემოკრატებს“ და, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაოს პრინციპით, პენსიას სულ ცოტა კიდევ 100 ლარით გაზრდის, და ჯამში მივიღებთ 450 ლარს!

ეს კი მართლა უკვე იქნება სახელმწიფო ხალხისთვის!

ახლა ჯერი შენზეა, ქართველო ამომრჩეველო, „ოცნების“ რეალურ 180 ლარზე დარჩები თუ ისევ 450 ლარს გაიხდი საოცნებოდ!

ნაცთაგან ფაშისტურად წამებული სულხან მოლაშვილის ანდერძი!..

გუშინ ქართულ მიწას მანქურთების მიერ მოკლული კიდევ ერთი ვაჟკაცის, სულხან მოლაშვილის ცხედარი მიაბარეს.

ქაშვეთის ტაძარში მისული ხალხი თავიანთ მრისხანე და მძიმე დუმილით გამოეთხოვა ადამიანს, რომელიც თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით უსამართლობასთან, განუკითხაობასთან, ძალადობასთან ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. დუმდა ხალხი და ეს დუმილი იმ მახვილად აღიმართა თბილისის თავზე, რომელიც საბოლოოდ შემუსრავს ყველას, ვინც საქართველოს დამონება და განადგურება სცადა.

მსუბუქი იყოს სამშობლოს მიწა სულხან მოლაშვილისთვის. და ის ანდერძი, რაც მან დაგვიტოვა: აღარასოდეს გაჭაჭანუბულიყოს ფაშისტური ძალმომრეობა საქართველოში! — ერთხელ და სამუდამოდ აღგვესრულებინოს.

გივი ჯოლბორდის ფოტო

ვახტანგ გომელაური:

დაისჯება ყველა, ვინც სულხან მოლაშვილის მიმართ უკანონობა ჩაიდინა

შოთა ზოიძე:



წერილი ბათუმიდან

დაჩოქილი ერდოღანი, გამარჯვებული პუტინი, შეშლილი მსოფლიო, თეთრი ყვავები და დოქსოპულოს დაბრუნება

6

მთავროობის საყურადღებოდ!

7

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია ქართველ გამომცემლებსაც იცავს!

გაკოტრების პირას მყოფმა ქართველმა გამომცემლებმა სარჩელი სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანეს

ამნისტია

ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული ასაკოვანი პატიმრები ამნისტიით თავისუფლდებიან

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „ამნისტიის შესახებ“ კანონს ხელი გუშინ მოაწერა კანონის მიხედვით ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან 70 წლის ან 70 წელს გადაცილებული მამაკაცები და 65 წლის, ან 65 წელს გადაცილებული ქალბატონები, ბრალდებულები და მსჯავდებულები. კანონი საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 26 ივნისს მიიღო.

მაგთიკომმა LTE ქსელით საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 90%-ზე მეტი დაფარა

2016 წლის 31 მაისს მაგთიკომის მიერ შეძენილი 800 MHz სიხშირეთა სპექტრის სალიცენზიო პირობა ითვალისწინებს 5 წლის ვადაში ქვეყნის დასახლებული, კონტროლირებადი ტერიტორიის 90%-იან დაფარვას.

მაგთიკომმა 800 MHz ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის თავზე, ამ კუთხით წინსწრებით არა მხოლოდ სალიცენზიო ვალდებულებები შეასრულა, არამედ კიდევ უფრო წინწასული ტექნოლოგიით 4.5G, იგივე LTE-Advanced ქსელი შესთავაზა ქვეყანას.

დღეისათვის მაგთიკომი ერთადერთი მობილური ოპერატორია ქართულ ბაზარზე, რომელიც ორი სიხშირული სპექტრის (LTE 800 და LTE 1800) კომბინაციით, მომხმარებელს 4.5G (LTE-Advanced) ქსელს და უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, მკვეთრად გაზრდილი ინტერნეტსიჩქარით და სიგნალის შეღწევადობით.

ევროს საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეები სტუმრად პრეზიდენტთან

საქართველოს პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ ევროს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე სესიის მონაწილეებს უმასპინძლეს.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ მიღებაზე გიორგი მარგველაშვილმა ქართველ და უცხოელ სტუმრებს სიტყვით მიმართა.

„სიმბოლურია, რომ ეს ღონისძიება საქართველოში გაიმართა. ქვეყანაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა სხვადასხვა ცივილიზაციების დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას.

ჩვენ ვართ ქალაქში, რომელიც სწორედ გასხვავებულთა თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის სიმბოლოს წარმოადგენს. ეს მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა და ამიტომაც ევროს ფორუმი, როგორც დიალოგის, მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის განსაკუთრებული ფორმატი ბუნებრივად ერწყიმის თბილისს, საქართველოს და ჩვენი საზოგადოების ეგზისტენციალურ ღირებულებებს.

საერთო ღირებულებები და საერთო ინტერესები, ეს არის რამაც დღევანდელ დღეს სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენლები გაგვაერთიანა. მჯერა, რომ ურთიერთანამშრომლობის შედეგად ჩვენ შევძლებთ მშვიდობის უზრუნველყოფას. ჩვენს ქვეყანაში აღარ იარსებებს გამყოფი ხაზები, ოკუპირებული ტერიტორიები. აღარასდროს განხორციელდება ეთნიკური წმენდა. მოსახლეობა აღარ იქნება მოკლებული საკუთარ ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილებისა და მშობლიურ ენაზე განათლების უფლებას“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე განცხადებით ჩვენ მივისწრაფვით, რომ საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სიკეთეების მატარებელი იყოს და გაუნაწილოს ეს სიკეთეები სხვა ქვეყნებს.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ მიღებას ესწრებოდნენ ევროს საპარლამენტო ასამბლეის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

„ამ რეზოლუციით რუსები ჯარებს არ გაიყვანენ, მაგრამ პრობლემები კი ექნებათ...“

როგორც ცნობილია ევროს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო. რეზოლუციის წინააღმდეგი ერთადერთი ქვეყანა რუსეთი იყო.

„რეზოლუციის იმპლემენტაციის თაობაზე მესმის გარკვეული ქირქილი, რომ ქაღალდზე დაიწერება, მერე რა მოხდა და ასე შემდეგ... მინდა ყველას შევახსენო, რომ ევროს საპარლამენტო ასამბლეა და საერთოდ, პარლამენტები ქაღალდზე დაწერილ გადაწყვეტილებებს ვიღებთ ხოლმე. ჩვენ სხვა ბერკეტი და ინსტრუმენტი არ გვაქვს. ქაღალდზე იწერება ჩვენი ქვეყნისთვის ყველა სასარგებლო და სასიკეთო გადაწყვეტილება და ასევე ქაღალდზეა დაწერილი არასწორი და მიუღებელი გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს უქმნის პრობლემას — იქნება ეს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით თუ სხვა თემებზე. ასეთი რეზოლუციები ხდება შემდგომი მოქმედებების საბაზო დოკუმენტები იმ წევრი სახელმწიფოებისა და იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, ვინც მას მხარი დაუჭირა. ისინი სხვა შემთხვევაში, როცა კონკრეტული გადაწყვეტილებებია მისაღები, ამ რეზოლუციას ითვალისწინებენ. ამიტომ ამ რეზოლუციის მნიშვნელობა ისეთივე დიდია, როგორც სხვა აქტების. აქვს თუ არა მას იურიდიული ძალა? — არა, ეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია და მას აქვს პოლიტიკური ძალა. ამ რეზოლუციის გამო რუსები ხვალ ჯარებს არ გაიყვანენ ცხინვალიდან და სოხუმიდან, მაგრამ ამ რეზოლუციის გამო მათ ექნებათ პრობლემები შემდგომი აგრესიული ნაბიჯების გადასადგმელად და დანარჩენი მსოფლიო იქნება საქართველოს უფრო მეტად მხარდამჭერი კონტრზომებში, რაც ჩვენგან არის მისაღები“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

◎ გუშინ

ნაციმოძრაობის პოლიტიკური კარიერის დასასრული

გიგი წერეთელს ევროპა მხარი არ დაუჭირა

გიგი წერეთელს **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იგი ევროს პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ იმედს არ კარგავს და აპირებს, მომავალ არჩევნებში კვლავ მიიღოს მონაწილეობა. „ამის შანსი ნამდვილად მაქვს, იმდენად დიდია მხარდაჭერა“ — განაცხადა მან, თუმცა, ისე უსუსურად გამოიყურება ეს ოპტიმიზმი, რომ შეუძლებელია, ეჭვი არ შეგეპაროს.**

გიგი წერეთელმა დამარცხების სამი ძირითადი მიზეზი დაასახელა, რომლებმაც საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი: საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, რუსული დელეგაციის „ცრუმხარდაჭერა“ და იმ ევროპელი დელეგატების ქვეყნიდან დროზე ადრე გამგზავრება, ვინც მას უპირობოდ მხარს დაუჭერდნენ. მიზეზების ძიებას თავი უნდა დავანებოთ, რადგან შედეგია მთავარი. შედეგი კი ის არის, რომ **ევროს საპარლამენტო ასამბლეას ახალი პრეზიდენტი ავსტრიელი ქალბატონი კრისტინე მუტონენი ჰყავს, რომელსაც 56 ქვეყნის პარლამენტმა დაუჭირა მხარი. ახალი პრეზიდენტი „სოციალ-დემოკრატების“ ფრაქციის წარმომადგენელია, რომლის წევრიც „ქართული ოცნებაა“.** კრისტინე მუტონენის მხარდამჭერებს შორის აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. წინასაარჩევნო პერიოდში ისე ჩანდა, რომ ის თითქოს გიგი წერეთლის მომხრე იყო, რომელსაც „ქართული ოცნება“ მკაცრად დაუპირისპირდა. პარლამენტის თავმჯდომარისგან განსხვავებით, ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე გაცილებით კატეგორიული იყო გიგი წერეთლის კანდიდატურის მიმართ: **„აქ მნიშვნელოვანია, თუ რომელ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენს ის და რა ღირებულებების მატარებელია, რამდენად სცემდა პატივს ეს პოლიტიკური გუნდი ადამიანის უფლებებს, რამდენად მნიშვნელოვანია ის პრინციპები, რის ირგვლივაც ევროს შეიქმნა. ეს დაახლოებით იგივეა, რომ გაეროს ხელმძღვანელად ვინმეს ბერია დაესახელებინა და საქართველოს მხარი იმიტომ დაეჭირა, რომ ის ქართველია“,** — აღნიშნა მან.

ბუნებრივია, გიგი წერეთელს ინდივიდუალურად შესაძლოა, აბსოლუტურად კეთილგანწყობილი ურთიერთობები აქვს ევროპელ დელეგატებთან, მაგრამ პოლიტიკური წარსული პოლიტიკოსის მომავალს უთუოდ განსაზღვრავს. რაც არ უნდა თქვან ავყია ნაციონალებმა, რომ დასავლეთი მათი მეგობარია, მით უფრო, ევროპის სახალხო პარტია, ყველამ კარგად იცის, თუ რა სისხლიანი რეჟიმი მძვინვარებდა საქართველოში, როგორ ფეხქვეშ თელავდა „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილი დემოკრატიას. ამიტომაც ყველაზე კარგად, სწორედ გიგი წერეთლისთვის ნდობის გამოუცხადებლობაში გამოჩნდა ევროპელთა პოზიცია და გიგის მიერ მოყვანილი მიზეზები ნამდვილად არაფერ შუაშია...

„ოცნებამ“ მიმითითა, რომ არ ვიყავი სწორი, როცა წერეთელთან დაკავშირებულ ვითარებას სამარცხვინო ვუწოდე — მართლაც შევცდი, ეს მოვლენები არამარტო სამარცხვინო, არამედ თავისმომჭრელია“, — ჯერ კიდევ ევროს პრეზიდენტის არჩევნებამდე განაცხადა დავით უსუფაშვილმა, მაგრამ რეალურად ამ სიტყვებს მისი საპირისპირო ქმედება მოჰყვა. თუკი მას დავუჯერებთ, პრეზიდენტის არჩევისას ევროს პრინციპებითა და პრიორიტეტებით იხელმძღვანელა: **„ვმონაწილეობდი ლიბერალ-დემოკრატიული ჯგუფის ფრაქციის ეგიდით გამართულ საუბრებში და მათთან ერთად მივიჩნიე, რომ უკეთესია, თუ ევროს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელი მომავალ წლის განმავლობაში ქალბატონი კრისტინა მუტონენი იქნება“.** მაშინ, რა საჭირო იყო გიგი წერეთლის კანდიდატურის მიმართ „ქართული ოცნების“ განწყობის უტრირება, გაუგებარია!

მართალი გითხრათ, ასეთი რიტორიკის ფონზე, სრულიად ლოგიკიდან ამოვარდნილი ჩანდა „მრეწველთა“ ლიდერის გოგი თოფაძის განცხადება: **„თუკი გიგი წერეთელს აირჩევენ, ეს ქვეყნის წარმატება იქნება“...** ქვეყნის წარმატებას თუ გიგი წერეთელი განსაზღვრავდა და მით უმეტეს, თუ ამას გოგი თოფაძე მიესალმებოდა, ნამდვილად წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ეტყობა, მრეწველთა ლიდერს პოლიტიკური სიბრძნე ნამდვილად აკლია.

თავდაპირველად ევროს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის არჩევნებზე ავსტრიის წარმომადგენელმა კრისტინე მუტონენმა 91 ხმა მიიღო, გიგი წერეთელმა — 85, საფრანგეთის წარმომადგენელმა ალან ნერიმ — 26. მეორე ტურში კი კრისტინე მუტონენმა 86 ხმა მიიღო, ხოლო გიგი წერეთელი მას 13 ხმით ჩამორჩა.

„ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური კარიერა ქართველმა ხალხმა ქვეყნის შიგნით უკვე დაასრულა, ახლა ეს პროცესი საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს. ვიცით, რომ გიგი წერეთლის არჩევას რუსეთის დელეგაციაც მხარს უჭერდა და საყურადღებოა, რომ ეს მხარდაჭერაც არ აღმოჩნდა საკმარისი მის ასარჩევად“, — ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს სოციალურ ქსელში დეპუტატი ეკა ბესელია. ამ კომენტარით კი სრულყოფილი პასუხი გასცა იმათ, ვინც ამბობს, რომ სხვა ქვეყნის კანდიდატისთვის მხარდაჭერა, ქვეყნის ღალატია. დღეს ნაცების აღზევება ასეთ სოლიდურ თანამდებობაზე კიდევ უფრო დიდი ღალატია. მეტიც, უპატიებელია!!!

თეა მოსია

კუს ტბაში თევზის გაშვება ზიკას ვირუსთან არანაირად არ არის დაკავშირებული

ჯანდაცვის **მინისტრის სერგეენკოს განმარტებით ზიკას ვირუსის გადამტანი კოღოს სახეობა აღმოჩენილია შავიზღვისპირა რეგიონში და არა კუს ტბაზე.** „ამ შემთხვევაში, ეს ზიკას ვირუსთან კავშირში არ არის, რადგან ზიკას ვირუსის გადამტანი არ არის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული კოღო ანოფელესი. ანოფელესი საქართველოში საუკუნეების განმავლობაში იყო, მასთან ბრძოლა მიმდინარეობს. თევზი გამბუზია ანოფელესს ანადგურებს. რაც შეეხება ზიკას, მისი გადამტანი კოღოს სახეობა აღმოჩენილია შავისზღვისპირა რეგიონში და არა კუს ტბაზე. მიმდინარეობს წყალსატევებისა და შენობის შიდა სივრცეების მასობრივი დამუშავება. კუს ტბაში თევზის გაშვება ზიკასთან ნამდვილად არ არის კავშირში“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

გარემოს დაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უწყებამ, „საქართველოს მეთევზეთა კლუბთან“ ერთად — ზიკას ვირუსის გამავრცელებელი კოღოს გასანადგურებლად ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს. თბილისში და მის ახლოს არსებულ ტბორებში გამბუზიის სახეობის თევზი გაუშვეს. ამ ჯიშის თევზმა უკვე გაანადგურა კოლხეთის დაბლობში მალარიის კოღო, ახლა კი მთელს ევროპაში მას მასობრივად ამრავლებენ და უშვებენ ყველა შესაძლო ტბორში. სამინისტროსა და „საქართველოს მეთევზეთა კლუბს“ შორის გაფომრებული მემორანდუმის ფარგლებში კლუბის წევრებმა გამბუზია დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი აბაშიდან გადმოასახლეს და კუს ტბაში ჩაუშვეს.

„პირადად გია ლორთქიფანიძემ ჩააცილა ჩატაევი ავსტრიაში“

თურქულმა მედიამ რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სტამბოლის ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზატორი შესაძლოა, ჩეჩენი აჰმედ ჩატაევი იყოს, თუმცა თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები ინფორმაციას ამ დრომდე არ ადასტურებენ. ჩატაევის კვალზე საუბრობს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, კონგრესმენი მაიკლ მაკოლმი.

„ის სავარაუდოდ, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის ნომერ პირველი მტერია. სირიაში უამრავჯერ იყო ჩასული და „ისლამური სახელმწიფოს“ ომის სამინისტროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის ოფიცერი გახდა, რომელიც ოპერაციების ჩატარებისთვის იყო პასუხისმგებელი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩატაევი, ამ თავდასხმის განსახორციელებლად, კოორდინირებას სამ თვითმკვლელ ტერორისტთან ახდენდა“, — განაცხადა **მაიკლ მაკოლმა.**

ჩატაევი არაერთხელ დააკავეს ევროპაში, ავსტრიაში და ბოლოს უკრაინაში. თუმცა, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების, კერძოდ მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და გია ლორთქიფანიძის ჩარევის შედეგად უკრაინის ხელისუფლებამ ჩატაევი საქართველოს გადასცა. ჩატაევი თბილისში ცხოვრობდა და საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო. 2015 წელს კი ის სირიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ჩატაევი თურქეთში მცხოვრები ახალგაზრდების გადაბირებას ახდენდა. გაეროს ინფორმაციის თანახმად, ჩატაევი 130 ბოევიკისგან შემდგარ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი** აცხადებს, რომ ჩატაევი წინა ხელისუფლების უშიშროების აგენტი იყო, რომელიც უშუალოდ მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი ლორთქიფანიძისგან იღებდა დავალებებს:

„მას ჰქონდა საქართველოს მოქალაქის ოპერატიული პასპორტი და უშიშროების ოპერატიული დავალებებით სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებდა. მიდიოდა მივლინებებში, იღებდა ხელფასს, იღებდა შესაბამის გასამრჯელოს, სამივლინებოს. ის მუშაობდა სააკაშვილზე. დღეს ბატონი ლორთქიფანიძე საუბრობს, რომ ჩატაევი გამოიყენეს, როგორც შუამავალი ლაფანყურის სპეცოპერაციაში. როგორც თავად ამბობს, ადამიანს არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი და უცებ ლაფანყურის სპეცოპერაციაში შუამავლად იყენებენ, რა საფუძველი უნდა ჰქონდეს ამას? საფუძველი ის იყო, რომ ჩატაევი აგენტი იყო და მათ მიიყვანეს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს მოსალაპარაკებლად.

მისივე თქმით, სავარაუდოდ, მაშინ ჩატაევის ლიკვიდაცია უნდოდათ, რადგან ძალიან ბევრი რამე იცოდა, თუმცა ჩატაევი გადარჩა.

„ფეხში იყო დაჭრილი და როგორც გია ლორთქიფანიძე ამბობს, ორ დღეში კი არ გამოვიდა ტყიდან, არამედ 9 დღეში გამოვიდა. კი არ გამოვიდა, მოხოხავდა, რადგან ფეხზე განგრენა ჰქონდა დაწყებული და საერთოდ ვერ მოძრაობდა. ჩატაევი ტყიდან რომ გამოვიდა, მესაზღვრეებს ჩაბარდა, რადგან როგორც ყოფილ აგენტს იმედი ჰქონდა, რომ მას „ხელმძღვანელობა“ ანგარიშს გაუწევდა. ის საკუთარ სახელსა და გვარს ასახელებს მხოლოდ სამედიცინო პუნქტზე, ანუ მესაზღვრეებმა გადაიყვანეს დაჭრილი საავადმყოფოში. ამის შემდგომ მას უყენებენ ბრალს, უდებენ ორ „ლიმონკას“, ეს დასტურდება კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომლების ჩვენებებით“, — აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

ჩატაევთან კავშირს უარყოფენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. **სერგო რატიანი** ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ციხიდან არა ერთი ჯაშუში და ტერორისტი გაათავისუფლა, რომლებიც დღეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ მოქმედებენ.

ჩატაევისა და „ნაციონალური მოძრაობის“ კავშირზე საუბრობს ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი **მექა ხანგოშვილი,** რომლის განცხადებით, სწორედ მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და გია ლორთქიფანიძის მფარველობით მოხდა ჩატაევის გათავისუფლება უკრაინაში და საქართველოში ჩამოყვანა.

ლაფანყურის საქმის გამოძიების ფარგლებში შექმნილი ჯგუფის წევრი იყო ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი,** რომლის განცხადებით, 2012 წლიდან ჩატაევი ქართული სპეცსამსახურებისთვის ერთ-ერთი ინტერესის მქონე პირი იყო და სწორედ ძალოვანების შეთავაზებით პირველად სწორედ ლაფანყურში გამოჩნდა იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი გზით დასრულებულიყო დაპირისპირება და სისხლი არ დაღვრილიყო.

„ფაქტია, რომ სისხლიც დაიღვრა და ძალოვნების ნდობით აღჭურვილი ჩატაევიც მძიმედ დაიჭრა. დასტური იმისა, რომ ჩატაევი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჩვენი ძალოვნებისთვის, გახლავთ ის, რომ სწორედ მაშინდელმა შს მინისტრის მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ პირადად ჩააცილა ჩატაევი ავსტრიაში, რითაც შემდეგ პანკისში ტრაბახობდა კიდეც.

კითხვა — რატომ იყო ნაციონალებისთვის ჩატაევი ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, პასუხს გასცემს ლაფანყურის ტრაგედიის საქმის გამოძიება. კერძოდ, რატომ შედიოდა საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში, რომ 2011 წლის თებერვლიდან დაწყებული ჩვენი ქვეყნის კონტრდაზვერვას ევროპაში მცხოვრები ჩეჩნები მოეწვია საქართველოში, რომლებსაც ჰპირდებოდნენ დაბინავებას, შეიარაღებას, წვრთნებს და შემდგომ ჩრდილო კავკასიისკენ გადასვლას. რატომ უნდა ყოფილიყო საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში ყოველივე ეს? ამას სჭირდება გამოძიება, თუმცა, ლაფანყურის თემის ირგვლივ ყველანაირი გამოძიება შეჩერებულია“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ქარჩავა

„ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების წევრები დაკავებულები არიან ერთმანეთისკენ თითის გაშვერით და უსაგნო ბრალდებებით“

აჰმედ ჩატაევის თურქეთის ტერაქტის შესაძლო კავშირთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წევრების შეფასებებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ზღვარგადასულ განცხადებად აფასებენ, როგორც გიორგი მარგველაშვილის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ პოლიტიკურ ტაქტსაც აქვს ზღვარი

„განსაკუთრებით ხაზი გვინდა გავუსვათ უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნის ზღვარგადასულ გამონათქვამებს. საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უკრაინა არის ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი და ამ მეგობრული ურთიერთობიდან, ასევე დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, ის ამ დრომდე თავს არიდებდა უკრაინის მაღალჩინოსნის მიხეილ სააკაშვილის საქართველოს სახელმწიფოზე თავდამსხმელი განცხადებების კომენტირებას, თუმცა პრეზიდენტის აზრით, პოლიტიკურ ტაქტსაც აქვს ზღვარი. მაშინ, როცა ქართველი ჯარისკაცები ტერორიზმს ებრძვიან, არამხოლიდ სიტყვებით, არამედ საქმით, მონაწილეობენ საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში, ანტიტერორისტულ ოპერაციებში, საქართველოს ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების წევრები დაკავებულები არიან ერთმანეთისკენ თითის გაშვერით და უსაგნო ბრალდებებით. მათ ავიწყდებათ, რომ ქვეყნის წინაშე აქვთ პასუხისმგებლობა და საკუთარ პოლიტიკურ დღის წესრიგზე ზრუნვაში ლაპარაკობენ იმაზე მეტს, ვიდრე სათქმელია. ამით პირველ რიგში ზიანს აყენებენ სახელმწიფოებრიობას“, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

შესაძლოა, ჩატაევის საქმეზე გამოძიება დახურულ რეჟიმში წარიმართოს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური ახმედ ჩატაევთან დაკავშირებით აცხადებს, რომ თუ ამ საკითხზე გამოძიება დაიწყება, ის შესაძლოა დახურულად წარიმართოს. მისი ინფორმაციით, არსებობს ჩვენებები, რითად დასტურება, რომ მას არანაირი ხელყუმბარა არ ჰქონდა.

„სასამართლო თავისუფალია და გამოუშვა. ის ადამიანი წავიდა ევროპაში. მას ჰქონდა პოლიტიკური თავშესაფარი, როგორც მახსოვს ავსტრიაში. წლების განმავლობაში არ ჩანდა და შემდეგ გამოჩნდა, უკვე სირიის ფაქტების შემდეგ დაიწყო მისი გვარის ხსენება“, — განაცხადა გომელაურმა.

ეს არ იქნება კარის გამოჯახუნება!

„ჩვენ ცივილური გაყრის პროცესში ვართ „ქართულ ოცნებასთან“, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლების მიერ მინისტრთა კაბინეტის დატოვების შესახებ თემის კომენტირებისას განაცხადა. დავით უსუფაშვილის თქმით, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები მინისტრთა კაბინეტს დატოვებენ ცივილიზებულად, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული გადაწყვეტილება არც „რესპუბლიკური პარტიის“ წევრებს და არც საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიღებული არ აქვთ.

უსუფაშვილი მაჟორიტარობას აპირებს

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დასრულებისთანავე პარლამენტის თავმჯდომარე, როგორც პარტიული ლიდერი, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, იქნება თუ არა დავით უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტიის სიის პირველი ნომერი. თავად უსუფაშვილი არ გამორიცხავს, რომ მაჟორიტარად კენჭი იყაროს.

„ვგეგმავ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, არჩევნებში მონაწილეობას, მაჟორიტარულშიც, პარტიულშიც და ყველანაირში. ისედაც მოვიდა დრო, მოვიდა ოქტომბერი. ასე რომ, ყველა უნდა ჩავერთოთ,“ — აღნიშნა უსუფაშვილმა.

ხიდაშელმა უკან დაიხია - ნატოს წევრობას ჯერ არ ველოდებით

ვარშავის **სამიტზე ჩვენ წევრობას არ ველოდებით — ეს განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.** ვარშავის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, პრეზიდენტ მარგველაშვილსა და საქართველოს დელეგაციის წევრებს შორის საბოლოო შეხვედრა გაიმართა. თავდაცვის მინისტრის თქმით, ვიზიტამდე 4 დღით ადრე კიდევ ერთხელ მოხდა დღის წესრიგის დაზუსტება. თინა ხიდაშელმა ყურადღება სამიტის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

„მოლოდინი არის ის, რომ ჩვენ დავბრუნდეთ ვარშავიდან, როგორც უფრო მეტად დაცული ქვეყანა. ნატოს წევრობა გვინდა სწორედ იმისთვის, რომ ვიყოთ უფრო მეტად დაცული ქვეყანა. ვარშავის სამიტზე ჩვენ წევრობას არ ველოდებით, ამიტომ პარტნიორებისგან ვითხოვთ, რომ ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც ამწუთას საქართველოს გააჩნია, იყოს მაღალ რეგისტრში წარმოდგენილი,“ — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

რიმა ბერაძის გამოკითხვაზე დაბარებას დედაქალაქის მერი ეხმაურება

პედაგოგებისთვის უფასო სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების ფაქტს ეხმაურება თბილისის მერი. დავით ნარმანია ამბობს, რომ საქველმოქმედო ღონისძიებაში მოსყიდვის ნიშნებს ვერ ხედავს.

„არ მგონია, რომ ეს იყოს მაინც და მაინც ამომრჩევლის მოსყიდვისკენ მიმართული ღონისძიება. ეს იყო უფრო მეტად საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიება, რომელიც გაცილებით უფრო ადრე დაიგეგმა. იცით, რომ წელს ცოტა არაორდინალურ საარჩევნო ვითარებაში ვართ, თუმცა ჯერ ის მთავარი პერიოდი, რასაც ჰქვია ორთვიანი წინასაარჩევნო პერიოდი, როდესაც მსგავსი რამ იზღუდება, ის ძალაში არ არის შესული. ამიტომაც ეს საკითხი სადაოა,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.

გაბრაზებული მოქალაქის პოზიცია

მოგეცით ჩემი ვალი

ღია წერილი პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოგმართავთ კიდევ ერთხელ 85 წლის მოხუცი, უსინათლო და სმენაჩლუნგი, I ჯგ. ინვალიდი, ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, შევსებული მაქვს მენდელეევის სისტემა ჩემი დაავადებებით.

მომეცით ჩემი ვალი, რომელიც აღებული აქვს ხელისუფლებას, ამ საკითხში მესამე პირი არ ფიგურირებს, არის ორი მხარე, მსესხებელი – ქვეყნის ხელისუფლება და გამსესხებელი – ამ ქვეყნის მოქალაქე.

გთხოვთ, გამაგებინოთ, ან მე რა დავაშავე, ან იმ თანხამ, რომელიც მე ვასესხე ხელისუფლებას. დედამიწის ზურგზე არ არსებობს კონფესია, ეროვნება, ქვეყანა, სქესი, რწმენა, რომელთათვისაც კარგ ტონად ითვლებოდეს ასეთი ქმედება და გთხოვთ, ნუ იქნებით საკაშვილის „Коренной“ ტერმინის გმირი – პირველად საქართველოში, პირველად მსოფლიოში, ისე კაცმა რომ თქვას როგორ უნდა გაჯობოთ ნაცისტების ბელადმა, მან ხომ თავის ფავორიტებზე გასცა ეს თანხები, ერთ-ერთზე დოკუმენტი მეც ხელთა მაქვს და ყველა ინსტანციაში, მათ შორის თქვენთანაც დევს ამ პიროვნების ვინაობა. ისიც საგულისხმოა, რომ თქვენს ხელისუფლებაშიც ხდება ამ თანხების გაცემა, დამნაშავე, ქვეყნის პირველი ფინანსისტის შერჩევით, რომელიც არა მარტო ამ დანაშაულშია მხილებული. რა გახდა დღემდე ეს დაწყევლილი საჩინოვნიკო ხელფასები, დანამატები და პრემიები იმ ფონზე, რომ საერთაშორისო ტრიბუნებიდან ისმის ქართველ მაღალჩინოსანთა შეგონებები, რომ საქართველოში ყვავის დემოკრატია (სინამდვილეში პლუტოკრატია) საქართველოში დამკვიდრებულია კანონის უზენაესობა, საქართველოს მოქალაქე უზრუნველყოფილია სამართლიანი სასამართლოს პირობებში საკუთარი პრობლემების სამართლიან მოგვარებაში და ვინ მოსთვლის რამდენი სიკეთეა საქართველოში დამკვიდრებული, მაგრამ საბჭოთა დროის ტარაპუნკა და შტეფსელის, ლამაზად რომ გამოგვიიდეს, იუმორის დონეზეც კი ვერ არის დღეს რეალობა საქართველოში.

მე ყოველ თქვენს სახელზე გამოგზავნილ განცხადებას თან გაზეთშიც ვუშვებ იმდენად, რამდენადაც თქვენამდე არც ღარიბაშვილის და არც თქვენს პიროებებში ინფორმაცია არ მოდიოდა ადრესატამდე.

ამის შედეგად, ჩვენ თქვენგან და თქვენ ჩვენთან სრულ ვაკუუმში ვიმყოფებით. დღეს საქართველო სახელმწიფო არ არის. მხოლოდ ბრწყინვალე წარსულის ქვეყანა დღეს ბეჩავი, კაცმა რომ თქვას არ ჯობია ჩვენთან მოყვრებთან კომუნიკაცია, ვიდრე ფაშისტ საკაშვილისტებთან? როგორც არ არსებობს ყოფილი კაგებეშნიკი, ასევე არ არსებობს ყოფილი საკაშვილისტი. ეს ის საკითხებია, რომელთა თანახმადაც ყველანი არიან ბოროტებასა და ადამიანური რესურსის დეფიციტში და დღეს გაშლილი არიან მეტასტაზებივით მთელ საქართველოში.

თქვენ ვერ გრძნობთ, რა უდიდეს დანაშაულს სჩადიხართ, როცა სრულიად პრესას უთმობთ ნაცისტებს და ისინიც არ იშურებენ იმ უზნეობებს, რასაც პროვოკაცია ჰქვია. დაიყენეთ გვერდით პატრიოტი ადამიანები, ნუ გეშინიათ მათი საღი კრიტიკის, გეშინოდეთ ნაცისტური ბანდის პროვოკაციული ქმედებების, რატომ ვერ ხედავთ იმას, რომ გვერდზე დაიყენოთ ლევან ვასაძე, ეს ნამდვილად ქვეყნის მოყვარული და განათლებული პიროვნება, აბა მითხარით, გახსოვთ ვინმესგან ასეთი მგზნებარე, ლოგიკურად გამართული, ანალიტიკური, საღად წარმოჩენილი ის რეალობები, რაც ვასაძემ ფორუმზე წარმოთქვა, ამის უკან შეუძლებელია მლიქვნელობა და კაცთმოძულედ იმალებოდეს, როგორც ეს არის სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული სიძულვილის ენით და საქმით ქმედებაში, მტკივა, ძალზედ მტკივა, რომ ეს განათლებული და ტოლერანტი ერი დღეს გაუნათლებელი და ქურდებით ცნობილი ერია მთელ მსოფლიოში. აფრიკაც კი გვჯობნის ჩვენ განათლებისკენ სწრაფვაში. გინახავთ სადმე პრემიერ-მინისტრს პარლამენტში შეჰქონდეს საკითხი პროფესიული განათლების განვითარებაზე? პრემიერ-მინისტრის საზრუნავია მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, უმაღლესი განათლების აღმავლობა, სამუშაო ადგილების არა ბიუჯეტის ხარჯზე ზრდა, არამედ დარგების განვითარება, სადაც შრომა თვითდაფინანსებით, პროდუქციის შექმნით და კვლავწარმოების საშუალებების განვითარებით არის დაკავებული, მაშინ აღალია ჩინოვნიკებზე პრემიები, დანამატები და... ისე კი ყველაფერი არამია თქვენზე.

სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოვისმინე ტელევიზორში საკითხების განხილვა, რაც ხალხზე ზრუნვის საგანი იქნებოდა, მთავარი და ეკრანიდან ჩამოუსვლელი თემაა ერთმანეთის ლანძღვა და ეს მედიის სიამაყე – რა კარგი გადაცემა გამოგვივიდა, სირცხვილია.

ბატონო პრემიერო, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე თქვენს გამოსვლაში შეეხეთ საკუთრების საკითხს, სადაც ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ საკუთრება შეუვალია და საქართველოში დაცულია პირადი საკუთრების უფლება. გამაგებინეთ, საკუთრება, რომელიც მე ვასესხე ხელისუფლებას, ეს არ არის, რისი დაცვის ვალდებულებაც ხელისუფლების პირველი ვალდებულებაა? ნუ სდუმხართ, გამეცით პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე მოვნახავ გზას იმ პირებთან, ვინც ამ საპარლამენტო ასამბლეის ორგანიზატორები იყვნენ და არა მარტო მათთან. როგორი მოყვარეც არ უნდა ვიყო თქვენი, ჩემი საკუთრება და ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე თქვენთან მოყვრობა. საჭირო რომ გახდეს, საკუთარ შვილთანაც ასე დავსვამდი საკითხს, თქვენ ვალდებული ხართ მოუაროთ მოხუც, ავადმყოფ, ღვაწლმოსილ, 47-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე კაცს, ეს არის სრულიად საკაცობრიო ჭეშმარიტება და ვერც ჩვენ გავექცევით ამ ჭეშმარიტებას. თუ ვართ სახელმწიფო, გვყავს ხელისუფლება და ხალხი მართავს სახელმწიფოს, როგორც ეს ლამაზი ფრაზა ყოველთვის ენაზე ადგას ხელისუფლებას.

მე მაინც იქა ვარ, მოხუც, 85 წლის ავადმყოფს ნუ უწერთ სიკვდილს, გამოუწერეთ თქვენი საკუთარი ვალის გადახდა, და თუ გგონიათ, რომ ბევრია ამის მომთხოვნი, ჯერ ერთი არა და მეორეც, იმიტომ იღებს ხელისუფლება ამხელა ასტრონომიულ ანაზღაურებას, რომ ნება იბოძოთ და მოახდინოთ პასპორტიზაცია ბენეფიციარებისა. ვის რა დამსახურებისთვის, რა საჭიროებისთვის, რა რეალობიდან გამომდინარე დააწესეთ რიგი, ვინ როდის მიიღებს თავის საკუთრებას, აი ეს არის სახელმწიფო, ხალხზე მზრუნველი, ასეთ შემთხვევაში აღარ იქნება – შენ იქით მიდექ, მე უნდა დავჯდე აქ და ა.შ.

ეს არის მოკეთის თვალით დანახული რეალობა და შეიძლება დილეტანტური, მაგრამ კეთილი სურვილებით დატვირთული გზავნილი.

იმედითა და პატივისცემით
ქართლოს ზაქარეიშვილი.

ქართული ღვინო რუსეთში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 40 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,8 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 46,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 18%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთი – 148% (1 884 665), უკრაინა – 82% (2 286 977), რუსეთი – 56% (10 198 085), ბელარუსი – 96% (462 547), ლიტვა – 31% (260 064), პოლონეთი – 34% (1 070 454), ესტონეთი – 64% (331 884), ყირგიზეთი – 89% (149 666), გერმანია – 55% (166 636), კანადა – 16% (96 300), დიდი ბრიტანეთი – 43% (58 366) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 6 თვის მონაცემებით, ჩინეთმა მე-4 ადგილიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა ისეთი ტრადიციული ბაზრების შემდეგ, როგორიცაა რუსეთი და უკრაინა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი – 10 198 085 ბოთლი; უკრაინა – 2 286 977 ბოთლი; ჩინეთი – 1 884 665 ბოთლი; ყაზახეთი – 1 764 286 ბოთლი; პოლონეთი – 1 070 454 ბოთლი.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“, „მუკუზანი“, „წინანდალი“, „ახაშენი“, „ქინძმარაული“ და ა.შ.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 78,8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 6 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 58,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

გუდამაყრის ქუჩა სახეს იცვლის

გუდამაყრის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა მიმდინარეობს, რის შემდეგაც საგზაო სამუშაოები უნდა დაიწყოს. მიმდინარე სამუშაო პროცესში, საკანალიზაციო ქსელთან დაკავშირებული სირთულეების გამო, სამუშაოების პროცესი გახანგრძლივდა, აცნობეს მედიანიუსს მერიიდან.

საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად სარემონტო სამუშაოებს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებს. ამის შემდეგ, სანიაღვრე ქსელზე მუშაობა ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება. აღნიშნული სამუშაოების პარალელურად, ამ დროისათვის, გუდამაყრის ქუჩის ზედა ნაწილზე უკვე დაიწყო ასფალტის საფარის დაგება.

ახალი ტურისტული კომპლექსი მწვანე კონცხზე

ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში ტურისტული კომპლექსის მოწყობა იგეგმება. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ინვესტორს უკვე ეძებს და უწყების მიერ შესაბამისი აუქციონიც გამოცხადებულია.

პირობებიანი აუქციონი 11 ივლისისთვისაა ჩანიშნული და მასზე მწვანე კონცხის დასახლებაში მდებარე 15070 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გასხვისება იგეგმება. ობიექტის საწყისი ღირებულება კი 18 ათასი ლარია.

პირობების მიხედვით, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მრავალფუნქციური შენობა-ნაგებო(ბე)ბის (სასტუმროს ტიპის დასასვენებელი სახლი, საკონფერენციო დარბაზი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, სარეკრეაციო ზონა, ავტოსადგომის და სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტები) მშენებლობის ნებართვა მიიღოს და სამუშაოებიც დაიწყოს. ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 თვის ვადაში მრავალფუნქციური შენობა ექსპლუატაციაში შეიყვანოს, რისთვისაც მინიმუმ 38 მლნ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ჯეჯელავა პედაგოგებს: „ყველას სათითაოდ გიხდით ბოდიშს ყველა იმ უბედურებისთვის, რაც ჩემს ადგილას მდგომებმა დაგმართეს“

ალექსანდრე ჯეჯელავა მასწავლებელთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ინიციატივით საქართველოს საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური მიმართულების პედაგოგებს შეხვდა. შეხვედრა, რომელსაც 700-მდე მასწავლებელი ესწრებოდა, ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართა და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

„გადავწყვიტე, რომ ყველას, სათითაოდ მოგიხადოთ ბოდიში – მე პირადად ყველა იმ უბედურებისთვის, რაც ჩემს ადგილას მდგომებმა დაგმართეს. მე ამწუთს პიროვნება არ ვარ, ეს არის თანამდებობა. ამ სკამს, რომელზეც მე ვზივარ, იმ სკამთან, რომელზეც თქვენ ზიხართ, ეკუთვნის „დიდი, დიდი, დიდი ბოდიში“ და ამ ბოდიშს მე გიხდით. ვაპირებ დაინახოთ, ეს არ არის ერთხელ სათქმელი. სპეციალურად ვცადე, რომ დღეს შეხვედრაზე პრესა არ ყოფილიყო, რომ ამას ეპატაჟური შესახედაობა არ ჰქონოდა. რისთვის გიხდით ბოდიშს? – ბოდიშს გიხდით, რომ ჩვენ (ჩემნაირებს ვგულისხმობ) მოვახერხეთ მასწავლებლის დისკრედიტაცია. მისი პრესტიჟის დაგდება, მშობლის, ბავშვის, ადმინისტრაციის, ფაქტობრივად ყველას წინაშე“, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ, რომელსაც მასწავლებლებმა აღნიშნული სიტყვა ტაშით რამდენჯერმე შეაწყვეტინეს. ჯეჯელავას თქმით, „მასწავლებლის სახელი უნდა ქუხდეს ქვეყანაზე“ და ის აპირებს სიტუაციის გამოსწორებას.

„ხელოვნებაში შემოქმედს ადვოკატები არ სჭირდება!“

მერაბ მერაბიშვილი — 85



85 წელი შეუსრულდა სახელმოხვეჭილ ქართველ მოქანდაკეს, საქართველოს სახალხო მხატვარს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს, თბილისის საპატიო მოქალაქეს მერაბ მერაბიშვილს.

მ. მერაბიშვილი 1931 წელს თბილისში დაიბადა, გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის, საქართველოს სახალხო მხატვრის, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კონსტანტინე (კოტე) მერაბიშვილის ოჯახში. მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის სამხატვრო აკადემია, იყო იაკობ ნიკოლაძის მოწაფე, რომელმაც თავის შეგირდს დიდი მოქანდაკის — როდენისაგან ნასახსოვრები ფარგალი აჩუქა, როდესაც მან რუსთაველის ძეგლისთვის გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა. ბ-ნი კოტე, ბრწყინვალე მონუმენტალისტი, წარმატებით მუშაობდა პორტრეტული ბიუსტის დარგშიც, ასევე, დაზგური პორტრეტის მიმართულებით.

განსაკუთრებული იყო მამა-შვილის დამოკიდებულება. „პროფესია მამის გავლენით ავირჩიე, — ამბობს ხელოვანი, — მამა არა მარტო ჩემი მასწავლებელი, არამედ მეგობარი, კოლეგა, კრიტიკოსი და ობიექტური შემფასებელი გახლდათ“. მამამ ვაჟიშვილს ექვსი წლისას გაუღო თავისი სახელოსნოს კარი, ნება დართო, შიგ შესულიყო. პატარა მერაბს განსაკუთრებით უყვარდა და აღელვებდა მამის სახელოსნო — მისთვის იდუმალი და საოცარი სამყარო... 14 წლისამ სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად დაიწყო სიარული და, როგორც თავად ბრძანებს, იქაურობას არც მოსცილებია, მამაც ხომ იქვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იმავე აკადემიაში 1961 წლიდან ბატონი მერაბი დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა, იყო პროფესორი, ხატვის კათედრის ხელმძღვანელი. მისი ლექციები გამოირჩევა გასაოცარი ინფორმაციულობით. იგი ბრძენი და მზრუნველი აღმზრდელია. ბევრი მის მიერ გაზრდილი ახალგაზრდა დღეს უკვე ცნობილი შემოქმედია.

საშუალო სკოლა 1949 წელს დაამთავრა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1955 წელს. სადიპლომო თემა იყო ა. გრიბოედოვის ფიგურა, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, რის გამოც ავტორი 1957 წელს საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს მოსკოვში. გამარჯვებული სამი პროექტიდან მ. მერაბიშვილის პროექტი ძეგლად განხორციელდა თბილისში, სანაპიროზე (1961). ამ ნამუშევრისთვის იგი დაჯილდოვდა სსრკ სამხატვრო აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით. აქედან დაიწყო მისი, როგორც ხელოვანის, წინსვლა და მის წარმოსახვასაც უფრო ფართო ასპარეზი მიეცა.

1956 წელს მ. მერაბიშვილმა ჩააბარა სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში და 1959 წელს დაამთავრა იგი (ნაშრომი — ი. ჭავჭავაძის ფიგურა).

მ. მერაბიშვილი ახალგაზრდობიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის შემოქმედებით ცხოვრებაში. იმთავითვე დიდ მოწონებას იმსახურებდნენ მისი ნამუშევრები ყველგან, სადაც მათი ექსპონირება ხდებოდა, იქნებოდა ეს რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში. მისი რეალისტური პლასტიკითა და ლირიკულ-რომანტიკული მგრძნობელობით შესრულებული ქანდაკებები შესანიშნავად ავლენენ ობიექტის შინაგან ბუნებასა და განწყობას. ავტორის ღრმა განსწავლულობა, ფართო ერუდიცია და უდიდესი პასუხისმგებლობა მჟღავნდება მის ყოველ ქანდაკებასა თუ ესკიზში, რაც სრულიად განსხვავებულ შუქს ჰფენს მათ.

მოქანდაკე ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა დონის კონკურსებშიც. ზემოთ დასახელებული გრიბოედოვის ძეგლისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურსის გარდა, მან გაიმარჯვა ასევე სხვა ორ საკავშირო კონკურსშიც (კოტე და მერაბ მერაბიშვილების ერთობლივი პროექტი — გიორგი დიმიტროვი, 1970; ლენინის ძეგლი, 1970); რესპუბლიკურ კონკურსებში (ერეკლე II-ისა და ზაქარია ფალიაშვილის ძეგლები — 1967, 1970); მას მიღებული აქვს, აგრეთვე, საერთაშორისო პრემია ნამუშევრისათვის „ხელისუფლების სიმბოლო“, 1968 და სხვ.

ბატონი მერაბისთვის, როგორც თვითონ აღნიშნავს, ძალზე მნიშვნელოვანია ერეკლე II-ის ქანდაკება თელავში. ეს საქართველოში მეფის ერთ-ერთი პირველი ძეგლი იყო. თელავში მის გახსნას 30 000 ადამიანი დაესწრო. როგორც ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ანდრიაძე წერს: „პატარა კახის“ ძეგლში ყველაზე ტიპურად წარმოჩნდა მერაბიშვილის, როგორც რომანტიკოსი აკადემისტისა და პოლიტკორექტული ისტორიზმით აღჭურვილი მოქანდაკის ტექნე“.

„ლენინის ძეგლიც გავაკეთე, — გვიამბობს მოქანდაკე, — ახლაც მოსკოვში, ზელენოგრადის რაიონში დგას. არ ჩამოუგდიათ... იქაც დიდი კონკურსი იყო. ძალიან ცნობილი რუსი მოქანდაკეები მონაწილეობდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მე გავიმარჯვე“.

მ. მერაბიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბაგრატოვანთა თემა. მან ამ სახელოვანი დინასტიის წარმომადგენელთა არაერთი პორტრეტი შექმნა. მათ შორის პეტრე ბაგრატიონის ორი ძეგლი. პირველი თბილისში დაიდგა (1984 წ.), ხოლო მეორე — მოსკოვში, კუტუზოვის გამზირზე. როცა ოსტატმა მოსკოვიდან შემოთავაზება მიიღო — რუსეთშიც გაჩენილიყო სახელოვანი გენერლის ძეგლის დადგმის მოთხოვნილება — გადაწყვიტა შეექმნა ახალი კომპოზიცია, მოცულობით გაცილებით დიდი, ვიდრე თბილისის ბაგრატიონი. მოსკოვში შექმნილი ბაგრატიონის ძეგლისთვის მოქანდაკე რუსეთის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

დიდი წარმატება მოიპოვა შოთა რუსთაველის ძეგლმაც უნგრეთში. იგი ბუდაპეშტში დგას. ძეგლზე მამასთან ერთად მუშაობდა. ბატონი მერაბი იგონებს, თუ როდის და რა პირობებში იდგმებოდა მამისმიერ შესრულებული რუსთაველის მონუმენტი, რომელიც დღემდე ყველაზე პოპულარულია ანალოგიურ ძეგლებს შორის: „რუსთაველის ძეგლი 1942 წლის II მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში დაიდგა. ქართულმა დივიზიამ ფიცი ამ ძეგლთან დადო და ისე წავიდა ომში. გერმანელები მაშინ მარუხთან იყვნენ. მამა კი ძეგლზე მუშაობდა! დიდი კომპოზიცია იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მაშინ ომი იყო და მხოლოდ ცენტრალური ფიგურა დადგეს. მერე კი ჩვენი კომპოზიცია არავის გახსენებია“. სინანულს გამოთქვამს დიდოსტატი დღევანდელი პირობების გამოც: „გატაცებით ვიმუშავებდი თამარ მეფის ქანდაკებაზეც. ესკიზი გავაკეთე, მაგრამ საბოლოოდ ჩანაფიქრი ქვაში ვერ გადავიტანე. ქრიზოელეფანტურ ტექნიკაში მინდოდა მისი შესრულება, ამას კი დიდი თანხა სჭირდებოდა... სამწუხაროდ, დიდი დაკვეთები აღარ არის, რომ მოქანდაკემ თავი წარმოაჩინოს. არადა, დრო მიდის. სამუშაო კი იშვიათად ჩნდება. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. ამის გარეშე ვერ წარმომიდგენია თავი. ჩემი ადგილი სახელოსნოშია“.

ბატონმა მ. მერაბიშვილმა არაჩვეულებრივად საინტერესო პორტრეტთა გალერეა შექმნა. ამ პორტრეტთა გალერეაში შეხვდებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყველა პრეზიდენტის სახეს; ქართული ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს — მსახიობებს (გურამ საღარაძეს, იპოლიტე ხვიჩიას, თენგიზ მუშკუდიანს, ეროსი მანჯგალაძეს, დოდო ჭიჭინაძეს, გიული ჭოხონელიძეს...); კომპოზიტორებს (ბეთჰოვენს, ბიძინა კვერნაძეს, რევაზ ლაღიძეს, ვაჟა აზარაშვილს), მწერლებსა და პოეტებს (ბესიკს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გალაკტიონ ტაბიძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს...), მეცნიერებს (ნოდარ ამაღლობელს, კოტე წერეთელსა და სხვ.), დუბნაში დაიდგა უდიდეს მეცნიერთა ნ. ბოგოლუბოვისა და ვ. ვექსლერის ძეგლები.

ერთი გატაცება აქვს ბატონ მერაბს — საიუველირო ნაკეთობა. იგი არაჩვეულებრივად დახვეწილი გემოვნებით ქმნიდა ქალის ორიგინალურ სამკაულებს, მხოლოდ ერთადერთი მომხმარებლისთვის — დედისათვის. დედა განათლებით ექიმი იყო, მაგრამ არ უმუშავია. მან მთელი თავისი გული და ენერგია უსაყვარელს მეუღლესა და დედისერთა ვაჟს მიუძღვნა. „დედა იყო ჩვენი მფარველი ანგელოზიო,“ — ამბობს ბატონი მერაბი.

გაზრდილს თავმდაბლურსა და თბილ ოჯახურ გარემოში, სადაც ყველაზე წინ და ყველაზე მაღლა სულიერება იდგა, არასოდეს უხმაურია, არასოდეს მოუთხოვია ის, რაც ეკუთვნოდა. იგი მხოლოდ მუშაობდა. დღესაც 85 წლის ხელოვანი დავით აღმაშენებლის ძეგლზე მუშაობს და ბედნიერია. მას სწამს, რომ მისი ადგილი სახელოსნოშია. იგი თავის, როგორც ხელოვანის, კრედოს ასე გამოთქვამს: „ყოველთვის ვთვლიდი, ახლაც ასე ვთვლი და მუდამ ჩავთვლი, რომ ცხოვრებასა და ხელოვნებაში შემოქმედს ადვოკატები არ სჭირდება. დრო აჩვენებს ყველაფერს. ყველაზე ძვირფასი ჯილდოც კი ფუჭია, თუ შენმა ნამუშევარმა დროს ვერ გაუძლო და იგი ხალხმა არ აღიარა“.

ვუსურვებთ იუბილარს, საქვეყნოდ აღიარებულ ხელოვანს, დიდი შინაგანი კულტურისა და ფართო ერუდიციის ადამიანს, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის განვითარებაში, ბატონ მერაბ მერაბიშვილს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

შენი ძეგლები ამშვენებენ საქართველოს და არა მარტო საქართველოს...

მერაბო! მახსოვხარ კეთილბუნებოვანი, ლაღი ჭაბუკი და დღეს 85 წლის საიუბილეო თარიღს გილოცავ! მიქრიან წლები თავაშვებული ბედაურებივით, მაგრამ ამ წლებს შენ ამაყად ხვდები, ამის ძალას შენი მაღალმხატვრული ხელოვნება განიჭებს, რომელშიც უზომო სიყვარული ძევს შენივე ქვეყნისა, საქართველოსი. შენ დღეს სახელოვანი მოქანდაკე ხარ, სახალხო მხატვარი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა და რუსეთის სამხატვრო აკადემიების აკადემიკოსი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე და უამრავი ჯილდოს მფლობელი. ეს ყოველივე კი არ მოსულა უბრალოდ, ამას წინ უძღვოდა უზომო შრომა, ტკივილი, განცდები, მწუხარება და გამარჯვებები. შენი ძეგლები ამშვენებენ საქართველოს ქალაქებს და არა მარტო საქართველოს. თბილისში „გრიბოედოვი“, „გენერალი პეტრე ბაგრატიონი“, თელავში „ერეკლე მეორე“, ბუდაპეშტში „რუსთაველი“, მოსკოვში „გენერალი პეტრე ბაგრატიონი“, „დიმიტროვი“ და აკადემიკოსი „ბოგოლუბოვი“ — შენ შეჰქმენი უამრავი გამოჩენილი პიროვნების პორტრეტები და კომპოზიციები. ყველაფერი ეს საუბრობს შენს ღირსებაზე და როგორც მოქანდაკის ნიჭიერებაზე. ამ ნიჭთან ერთად ღვთიურმა ძალამ კეთილშობილება გიბოძა. წლების მანძილზე სამხატვრო აკადემიაში ზრდიდი ახალგაზრდობას, რაც დიდებული საქმეა. მახსოვს, ორმა მერაბმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ერთდროულად დაიცვა დიპლომები. შენ „გრიბოედოვი“ გააკეთე, მე კი „რუსთაველი“. სასიხარულო მოგონებაა, ჩვენი ნამუშევრები ორივე დაიდგა თბილისსა და მოსკოვში. ამ პერიოდიდან დღემდე მოღვაწეობ გაუჩერებლივ, დიდია შენი ინტელექტუალური არეალი, ამიტომ გაჩერება არ შეიძლება. გისურვებ ჯანმრთელობას! დღეგრძელ სიცოცხლეს, რათა კვლავ შენი შრომით საქართველოს შემატო შენეული მაღალმხატვრული ხელოვნება!

პატივისცემით და სიყვარულით —
მერაბ ბერძენიშვილი.
03.07.16

აჭარის უმაღლეს საბჭოში არჩილ ხაბაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხზე იმსჯელეს – რვა კაცი შვიდის წინააღმდეგ, ღია კენჭისყრის შედეგების მიხედვით, აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი თანამდებობას ინარჩუნებს.

დაჩოქილი ერდოღანი, გამარჯვებული პუტინი, შეშლილი მსოფლიო, თეთრი ყვავები და დოქსოპულოს დაბრუნება

ივნისის ბოლოს, ზაფხულის ტემპერატურასთან ერთად, მკვეთრ და უმაღლეს ნიშნულს მიუახლოვდა პოლიტიკური ტემპერატურაც. ასე რომ, ორმა პოლიტიკურმა მოვლენამ შეძრა ყველა კონტინენტი. ნისლიანი ალბიონის რეფერენდუმმა შოკში კი არა, ნოკაუტში ჩაყარა მსოფლიოს მმართველები და არა მარტო ისინი. ჩვენს პატარა საქართველოშიც, სადაც სახეზეა დასავლეთის მიერ ჩვენი ხალხის იდეოლოგიური ინტერვენცია და ზნეობრივი კოლონიზაცია, მადა გაუფუჭა გრანტიჭამია ქართველ პოლიტიკოსებს. რაც შეეხება ერდოღანის ბოდიშის მოხდას და რუსეთის წინაშე დაჩოქებას, მათ ყოველივე ეს ავი სიზმარი ჰგონიათ და ცდილობენ, მალე გამოაღწიონ სიზმრის ქოხიდან, რათა ჩქარა მოიშორონ ავი ზმანება.

მინდა, შევახსენო მკითხველს, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, რეფერენდუმამდე რამდენიმე კვირით ადრე „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვწერდი, რომ ევროკავშირს წყალი გასდის-მეთქი. ისე კარგად და მალე აგიხდეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ადღგენა, როგორც ეს ჩემი ნათელხილვა. შორს აღარ არის ის დღე, როცა დაიწყება ჯაჭვური რეაქცია. გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ნაიჯელ ფარაჯმა თქვა, რომ, იმედია, ჩვენ არ ვიქნებით უკანასკნელნი, ვინც მომაკვდავ ევროკავშირს დატოვებსო. ტელეარხ CNBC-ის ეკრანიდან ევროპელი პოლიტიკოსი აღიარებს, რომ „ეს არის უბრალო ადამიანების გამარჯვება, გამარჯვება პატიოსანი ადამიანებისა დიდ პოლიტიკასა და მსხვილ კომერციულ ბანკებსა და კომპანიებზე.“ ბატონი ნაიჯელ ფარაჯი კმაყოფილია იმ ადამიანებით, რომლებსაც ეყოთ ვაჟკაცობა და მიუხედავად მუქარისა, მოიქცნენ ღირსეულად. ყველასათვის ნათელია, რომ გაერთიანებული სამეფოს სუბიექტებიც მხარს უჭერენ ეროვნულ ფასეულობებს, საკუთარ სუვერენიტეტს და დაუპირისპირდნენ გლობალიზაციას. ევრკავშირიდან გამოსვლაზე საუბრობენ ფრანგები, ჩეხები, სლოვაკები, დანიელები.

საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, რომელიც მძლავრი იდეოლოგიური გაერთიანება იყო, ევროკავშირი ეკლექტური სურვილების, იდეებისა და ეკონომიკური ინტერესების ჯამია, რომლის მმართველ ელიტაში გაბატონებულია კორუფცია, ავტორიტარიზმი და ბატონკაცური დამოკიდებულება სუბიექტებისადმი და მისაღებ კანდიდატებთან ულტიმატუმის ენით საუბარი, ვთქვათ, ისე როგორც საქართველოსთან. რაღა შორს მივდივართ. გვეუბნებიან, რომ ევროკავშირის კარი საქართველოსთვის ღიაა, თუ ერთსქესიანთა ქორწინებასა და მათთვის შვილის აყვანის უფლებას დავაკანონებთ. ამ დროს კარი ღიად კი არა და ღრიჭოდაც არ არის. ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი ათეული წელი ელოდება ამ „სამოთხეს“ საქართველოზე უფრო დიდი და ძლიერი ნატოს წევრი ქვეყანა, ჩვენი მეზობელი თურქეთი.

საგულისხმოა, რომ თვით ევროპარლამენტში ალაპარაკდნენ მათი ჩინოვნიკების – ევროპული საბჭოს პრეზიდენტის დონალდ ტუსკის, ევროკავშირის პრეზიდენტის ჟან-კლოდ იუნკერისა და ევროპარლამენტის პრეზიდენტის მარტინ შულცის გადადგომაზე.

ახლა დავუბრუნდეთ შარშან სირიის ტერიტორიაზე რუსული ბომბდამშენის „სუ-24“-ის ჩამოგდებას. მაშინ მთელმა მსოფლიომ ნახა, რომ თურქეთის პრეზიდენტი შეუვალი აგრესიულობით საუბრობდა, მსგავს შემთხვევაში თვითმფრინავებს კვლავაც ჩამოვყრითო და, ცხადია, ბოდიშის მოხდაზე საუბარიც არ შეიძლებოდა. „სუ-24“, რომელსაც იერიში მიჰქონდა ტერორისტებზე, ჩამოაგდეს, ხოლო კატაპულტირებული მფრინავი ოლეგ პეშკოვი ჰაერში, პარაშუტის ქვეშ დახვრიტეს. ცხადია, ეს იყო თავის მხრივ ტერორისტული აქტი და ის შემთხვევა, როცა „ბოდიში“ წამალი არ არის.

თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის პოლიტიკურმა მეტამორფოზამ, ნოკაუტში ჩააგდო მთელი მსოფლიო და, უპირველესად, ქართველი მიშისტები. ქართველი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სააკოვს უცხოეთში და, მათ შორის, ევროკავშირშიც არ აკლია ლობისტები. ერდოღანის ბოდიში გერმანიასთან გაფუჭებულმა ურთიერთობამაც განაპირობა.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ქართველი პოლიტიკური ფიგურებისა თუ ჩინოვნიკების, მათ შორის, უმრავლესობის და უმცირესობის აბურდულ-დაბურდული კომენტარები, რომ თითქოს რეფერენდუმის შედეგებს გავლენა არა აქვს ჩვენს ქვეყანაზე. სინამდვილეში კი სხვა პოლიტიკური რეალობა წარმოიშვა. დღეს რომ რეფერენდუმი ჩავატაროთ, მოსახლეობის 70 პროცენტი ევროკავშირის წინააღმდეგ გამოვა. რუსეთის გავლენა გაძლიერდა არა მარტო ევროპა-აზიის რეგიონებზე, არამედ მთელ მსოფლიოზე. ამიტომ ერდოღანმა უკან წაიღო თავისი მუქარა-ულტიმატუმი „კიდევ ჩამოვაგდებ!“ და პუტინს უკან მიდევნებული ლამპარივით ბოდიშის წერილი აახლა. ცხადია, გამარჯვებულმა პუტინმა მიუსამძიმრა თურქ ხალხს ათათურქის აეროპორტში განხორციელებული ტერაქტის გამო. ამ დროს მედასავლეთე გრანტიჭამიები მოითხოვენ აბაშიძე-კარასინის დიპლომატიური ფორმატის გაუქმებას და გვიკრძალავენ რუსულ ენაზე საუბარსაც კი, არამც თუ რუსეთის მთავრობასთან პოლიტიკური დიალოგის დაწყებას.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, კვადრატში აყვანილი ნაციონალია. ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნებისათვის“ მას და მისი მთავრობის წევრებს ხმა არ მიუციათ. ჩემთვის ახლაც გამოცანაა, როგორ აღმოჩნდა „ქართუ ბანკის“ ბათუმის ფილიალში. საფუძვლიანია მოსახლეობის ეჭვი, რომ იგი თავის დროზე ბიძინასთან სპეცსამსახურებმა ჩანერგეს, ისე როგორც მურმან დუმბაძე. იგი მომენტს არ უშვებს ხელიდან, სააკოვ-ვარშალომიძის ჩინოვნიკები არ დააწინაუროს. დღიდან მოსვლისა, ათეთრებს სააკოვის ყვავებს და ხელჩართული ომი გამოგვიცხადა „ქართული ოცნების“ აქტივისტებს. მოვუწოდებ ჩვენს პრემიერს, ყური უგდოს და მოუსმინოს აჭარის მოსახლეობას და არჩილ ხაბაძე ჩამოაშოროს აჭარის მთავრობას და „ქართულ ოცნებას“.

ჯერ ერთი, თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება შეცდომა კი არა, დანაშაული იყო და წყალი ტერორისტების წისქვილზე მიუშვა. ათათურქის აეროდრომზე განხორციელებული საშინელი და შემზარავი ტერაქტი ერდოღანის ბოდიშის პასუხი იყო. რაც შეეხება აშშ-ის პოზიციას, ტერორისტული ისლამური სახელმწიფო რუსეთს შეატოვა და მისი ჩართულობა ფორმალურია და ვალის მოხდას ჰგავს. სად არის ნატოს ძლიერების მითი, ნუთუ არ შეუძლია ამდენ კოალიციურ შეიარაღებულ ძალებს სირიაში ტერორისტების ალაგმვა?! შეუძლია, როგორ არა, მაგრამ მის ინტერესებში არ შედის, რადგან თავად დაცულად გრძნობს თავს. ნუ იქნებიან იმის იმედად, რომ ნიუ-იორკის 11 სექტემბერი აღარ გამეორდება.

სამწუხაროა, რომ ქართველებმა უახლესი ისტორიიდან ვერაფერი ვისწავლეთ. ვისწავლეთ კი არა, რაც ვიცოდით, ისიც დავივიწყეთ. ცხადია, რომ ქვეყანას არ გააჩნია ქართული სახელმწიფო კონცეფცია, იდეოლოგია, სტრატეგია და ჩვენი ქვეყნის დამანგრეველი სააკოვის მმართველობის სისტემას ვერაფერი დავუპირისპირეთ. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ პროპორციულმა პირველმა ნომერმა მოირგო რა სპიკერის ჩოხა, პირველ დღესვე დაახეთქა, გადავარჩინოთ ნაციონალური მოძრაობაო და მოღვაწეობა პრეზერვატივების კანონპროექტით დაიწყო. ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებს მაშინ, როცა სააკოვმა გააცამტვერა „მოქკავშირი“ და „აღორძინება“, ხმა არ ამოუღიათ. არც ვაშინგტონსა და არც ბრიუსელში არავინ შეშფოთებულა. ახლა კი ნაცმოძრაობაზე ვენებს იჭრიან, არიქა, დემოკრატია იღუპებაო. დღეს საქართველოში არ არის ძალა, ამ ჩვენს მიწა-წყალზე გაჯეჯილებულ ვერაგობას რომ დაუპირისპირდება. ჩვენზე ათასჯერ ძლიერი ქვეყნის პრეზიდენტმა პუტინს დაუჩოქა.

დასავლეთი გვართმევს ეროვნულ ცნობიერებას, რუსეთმა თერგდალეულები მაინც მოგვცა, აჭარლები საქართველოს დაუბრუნა, სხვა რომ არაფერი. ჩემი ოპონენტები ერთ მაგალითს თუ დამისახელებენ ისტორიის მანძილზე რა მოგვცა დასავლეთმა, მეც მათ მხარეზე გადავალ.

ჩემი ფიქრით, საქართველოს და ჩვენს ხალხს არაფერი ესაქმებათ იმ კავშირში, სადაც მიშისტების ლობისტები თავს სათბურში გრძნობენ და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ატერორებენ დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ნიღბით. სულერთია, ეს იქნება ევროკავშირი თუ ნატო! მე ძალიან კარგად მახსოვს, რა დაუჯდა აჭარის ხელისუფლებას ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრობა. ბატონ ასლანსაც ეგონა, რომ ევროპელები აგვაშენებდნენ. შედეგი კი ნულის ტოლია. ახლა დასავლეთს თუ ოკეანის გაღმა ძალიან ბევრს ფიქრობენ, თუ რა ფორმითა და საშუალებებით მოახვიონ თავს ჩვენს მთავრობას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. არც თუ ისე შორეულ წარსულში, თუ არ ვცდები, რესპუბლიკელების წარმომადგენლებმა გააჟღერეს ეს იდეა. ძნელი სათქმელია, რა „საჩუქარი“ მიიღეს ამისათვის მათი პატრონებისგან. ჩვენი ჩინოვნიკები გუგულებივით გაიძახიან ერთსა და იმავეს, რომ ევროატლანტიკური არჩევანი შეუქცევადია და ა.შ. ამასვე გაიძახოდნენ ნაცების ბელადი და მისი დოქსოპულოები. სამწუხაროა, რომ იმავე დასავლეთის ძალადობის გამოისობით, ოცნების ხელისუფლებამ ვერ შეძლო გახრწნილი რეჟიმის მიერ უცხოელთა კარნახით დამკვიდრებული მმართველობის სისტემის შეცვლა და კვლავაც ევროკავშირისა და ნატოს არარსებული სამოთხით გვასულდგმულებენ. არავინ არაფერს გვეუბნება თუ რა სიკეთეს მოვიმკით ევროკავშირში და ნატოში შესვლით, გარდა იმისა, რომ ყოველწლიურად ჩვენი ეროვნული შემოსავლიდან რადენიმე მილიონი საწევრო უნდა ვუხადოთ ევროკავშირს და მისი ჩინოვნიკები და ჩვენი მტერი სახალხო პარტიის ევროპარლამენტის წევრები ჩვენი სარჩენი გახდებიან, გარდა იმისა, რომ აფხაზეთს სამუდამოდ დავემშვიდობებით და ზედ ჯავახეთსაც მივაყოლებთ, გარდა იმისა, რომ ლტოლვილთა უზარმაზარ ნაკადს მივიღებთ და ისინიც ჩვენი სარჩენი გახდებიან, გარდა იმისა, რომ ერთსქესიანთა ქორწინებას დავიკანონებთ. მგონი, გაგრძელებას აზრი არ აქვს, რადგან ყველასათვის ყველაფერი ნათელია. ის, მე რაც ვიცი და რასაც ვლაპარაკობ, ჩემზე უკეთესად იციან ჩინოვნიკებმაც და პოლიტიკოსებმაც, მაგრამ ამისი საჯაროდ განცხადების უფლება არა აქვთ და თვალებს იბრმავებენ, სირაქლემას პოზა უჭირავთ და დღევანდელი დღით და გაბერილი ჯამაგირით და პრემია-დანამატებით სულდგმულობენ. უნდა ვთქვა, თავს ისულელებენ-მეთქი, რადგან თუ შენი ხალხი და ქვეყანა გიყვარს, როგორც გურულები იტყვიან, ამ აბდლობაზე თვალს არ დახუჭავ. ამას წინათ ერთ-ერთ, თუ არ ვცდები, ცრუსთაველების არხზე შემთხვევით გადართვისას, თვალი მოვკარი აშშ-ში გამართულ გეიაღლუმს, სადაც საქართველოს დროშებსაც აფრიალებდნენ. ამ ბინძურმა სანახაობამ, რამდენიმე დღის სიცოცხლე წამართვა.

ზემოთ მმართველობის სისტემა ვახსენე. აჭარაში ჯერაც ნაციონალური ხელისუფლება გვყავს. **აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, კვადრატში აყვანილი ნაციონალია. ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნებისათვის“ მას და მისი მთავრობის წევრებს ხმა არ მიუციათ. ჩემთვის ახლაც გამოცანაა, როგორ აღმოჩნდა „ქართუ ბანკის“ ბათუმის ფილიალში. საფუძვლიანია მოსახლეობის ეჭვი, რომ იგი თავის დროზე ბიძინასთან სპეცსამსახურებმა ჩანერგეს, ისე როგორც მურმან დუმბაძე. იგი მომენტს არ უშვებს ხელიდან, სააკოვ-ვარშალომიძის ჩინოვნიკები არ დააწინაუროს. დღიდან მოსვლისა, ათეთრებს სააკოვის ყვავებს და ხელჩართული ომი გამოგვიცხადა „ქართული ოცნების“ აქტივისტებს. მოვუწოდებ ჩვენს პრემიერს, ყური უგდოს და მოუსმინოს აჭარის მოსახლეობას და არჩილ ხაბაძე ჩამოაშოროს აჭარის მთავრობას და „ქართულ ოცნებას“.**

3 ივნისს ჩამოფრინდა სააკოვის დოქსოპულო ლევან ვარშალომიძე, რომელსაც სარფის კართან უკანალაქავებული ნაცები დახვდნენ. ხვევნა-კოცნისა და მტლაშა-მტლუშის დროს, ვიღაცამ ცხვირ-პირში ცალი ფეხსაცმელი უთავაზა. თუმცა აჭარის პარლამენტის არჩევნების პროპორციული სიის პირველ ნომრობას უმიზნებს. დალაგებულ ქვეყანაში იგი ახლა კამერაში უნდა იჯდეს, იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი, 2007 წლის 8 ნოემბერს ბათუმის უნივერსიტეტის დარბევაც კმარა. ახლახან აჭარის მთავრობის აპარატის უფროსს ჩემი ხელით ჩავაბარე ლევანის ხელმოწერილი 2010 წ. 19 აპრილის და 2011 წლის 12 აპრილის № 64 ბრძანების ქსეროქსის ასლები. პირველი ბრძანება ხალხის 5-მილიონიან ქონებას 600 000 ლარად აძლევს მოქალაქეს, ხოლო მეორე ბრძანებით, ერთი წლის შემდეგ პირველში ცვლილებები შეაქვს და 600 000-დან 1 ლარად ჩამოაფასა. ეს არის ჩინოვნიკის ფინანსური კრიმინალის კლასიკური მაგალითი. ცხადია, ამას ბატონი არჩილი პროკურატურას არ გადასცემს და საქმეს არ აღძრავს. მალე ამ ბრძანებებს კომენტარებით პრემიერს გადავუგზავნი. ეს ზღვაში წვეთია. ბატონმა არჩილმა თითქოს არ იცის, რომ აჭარის ტელევიზიის ეთერით აღვირახსნილად ლანძღავენ ბიძინა ივანიშვილს, „ქართული ოცნებას“ და ცენტრალურ ხელისუფლებას. მისი ხელმძღვანელობა და ბორდიც ნაცებითაა გაჯერებული, რაშიც დიდია ხაბაძის როლი.



აჭარელი ნაცების ლიდერს არჩევნების მოგების იმედი აქვთ, რაც ემყარება აჭარის მთავრობის და პარლამენტის აპარატში, სამინისტროებში და მერიაში მოკალათებულ ნაცისტებსა და რაიონების გამგებლებს, რომლებიც ხაბაძემ ნაცების წუმპედან ამოიყვანა და გაგამგებლა. მართალია, ბატონი აჩიკო 4 წელია, ყვავებს საგულდაგულოდ ათეთრებს და „ქართული ოცნება“ გააშავა, მაგრამ არ იცის, რომ მაგარი მიშას ყორანი არ გათეთრდება.

შოთა ზოიძე,
მწერალი
5 ივლისი, 2016 წ.

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია ქართველ გამომცემლებსაც იცავს!

გაკოტრების პირას მყოფმა ქართველმა გამომცემლებმა სარჩელი სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანეს

ეს საინფორმაციო წერილი გამოქვეყნდა 2016 წლის 30 ივნისს გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ვებგვერდზე და ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა მსოფლიოს 50 ქვეყნის 60-ზე მეტ ორგანიზაციას.

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია 1896 წელს პარიზში დაარსდა. გაერთიანების უპირველესი მიზანი მთელ მსოფლიოში საავტორო უფლებების აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფა გახლდათ. გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია დღემდე ინარჩუნებს აღნიშნულ ფუნქციას და საავტორო უფლებების პოპულარიზაცია და დაცვა, ბეჭდვისა და გამოხატვის თავისუფლება მისი საქმიანობის უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენს. იგი **იცავს გამომცემელთა უფლებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

ასოციაციის მთავარი ოფისი ამჟამად მდებარეობს ჟენევაში და მასში გაერთიანებულია 50 ქვეყნის 60-ზე მეტი ორგანიზაცია ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის, აფრიკის, აზიის კონტინენტებიდან.

ოთხმა ქართულმა გამომცემლობამ 2016 წლის ივნისში სარჩელი სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა, როგორც გადარჩენის უკანასკნელი იმედი.

„ინტელექტმა“, „დიოგენემ“, „არტანუჯმა“ და **„ლოგოს პრესმა“**, რომლებიც გასულ წლებში ჯერ კიდევ ძლიერ ქართულ საგამომცემლო ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, გააერთიანეს საკუთარი ძალები, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ 2013 წლის ბრძანებულებისთვის, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებამ მიითვისა მათი სახელმძღვანელოების ელექტრონული ფაილები ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაბეჭდა წიგნები და დაარიგა უფასოდ.

ქართველი გამომცემლები და გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის წევრი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, მიესალმებიან სკოლებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების პროგრამას, მაგრამ ამასთან ხაზს უსვამენ, რომ მთავრობის პროექტით უხეშად ირღვევა მათი საავტორო უფლებები.

2014 და 2015 წლებში გამომცემლებმა სცადეს ბრძნებულება გაეპროტესტებინათ ქართული სასამართლოს პირველ და მეორე ინსტანციებში, მაგრამ საქმის ზედაპირული განხილვის შემდეგ მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმის გასაჩივრების მესამე ეტაპზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამომცემლებს საქმის მოსმენაზეც კი უარი უთხრა.

გამომცემლების ბოლო იმედი ემყარება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში, სადაც მათ 17 ივნისს შეიტანეს საჩივარი 2013 წლის ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით და ასევე მოსთხოვეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზარალის ანაზღაურება 14 მილიონი ევროს ოდენობით. ისინი ასევე ითხოვენ არალეგალურად სცნონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის ბრძანებულების შემდგომი ქმედებები. სტრასბურგის სასამართლო ამ წლის ბოლომდე უნდა გამოეხმაუროს აღნიშნულ სარჩელს.

ამჟამად გამომცემელთა საწყობებში დევს ერთი მილიონი სახელმძღვანელო, რომელსაც მტვერი ედება, იმიტომ რომ ხელისუფლება ხელს უშლის მათ გაყიდვას თავისუფალ ბაზარზე. უფრო მეტიც, ხელისუფლება უარს ამბობს, შეიძინოს დასაწყობებული ეგზემპლარები, მიუხედავად დიდი ფასდაკლებებისა, რომელსაც გამომცემლები სთავაზობენ, და სანაცვლოდ ახალ სახელმძღვანელოებს თავად ბეჭდავს.

ეს ერთი მილიონი ეგზემპლარი რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა. 2016 წელს ამ წიგნების თითქმის ნახევარს (I-VI კლასები) გრიფირების ვადა გასდის. ხოლო მეორე ნახევარს (VII-XII კლასები) ვადა 2017 წელს ეწურება. თუკი ხელისუფლება წელსვე არ შეისყიდის ამ ეგზემპლარებს, გამომცემლები კიდევ უფრო გამანადგურებელი ფინანსური დანაკარგის წინაშე აღმოჩნდებიან.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ გვანცა ჯობავამ განაცხადა: **„ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, საბოლოოდ გაწირავს სახელმძღვანელოების გამომცემლებს და ამ ერთ მილიონ სახელმძღვანელოს სამუდამოდ გამოუსადეგარად აქცევს, თუ მიიღებს ერთ სამართლიან გადაწყვეტილებას მაინც ბოლო სამი წლის განმავლობაში და შეისყიდის სახელმძღვანელოებს უშუალოდ გამომცემლებისგან“.**

არსებული ინფორმაციით, ქართულმა გამომცემლობებმა, რომლებსაც სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარზე დიდი წილი აქვთ, „უფასო სახელმძღვანელოების“ შემოსავლის 80%-მდე დაკარგეს, რამდენიმე გამომცემლობა, რომელიც მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებს გამოსცემდა, საერთოდ დაიხურა. ჩიხში შევიდა სახელმძღვანელოების განვითარების პროცესი: ბოლო სამი წლის განმავლობაში მათი გაუმჯობესებისთვის არაფერი გაკეთებულა. მაშინ, როდესაც 2013 წლამდე ავტორები და გამომცემლები სახელმძღვანელოების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე სისტემატურ, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ.

პროექტის სოციალური დატვირთვიდან გამომდინარე, „უფასო სახელმძღვანელოების“ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ხელისუფლებამ თავისი პოპულისტური გადაწყვეტილება შეფუთა, როგორც ბრძოლა ხარბი გამომცემლების წინააღმდეგ, რომლებიც ღარიბი ხალხის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამომცემლების ლეგიტიმური ბიზნესი წარმოჩენილი იყო როგორც ამორალური საქმიანობა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ბიზნესის მიღმა დატოვება შეიფუთა როგორც სამართლიანი მსხვერპლშეწირვა.

ДЕСЕТ ГОДИНА ПОСЛЕ ПОТПИСИВАЊЕ НА СПОГОДБАТА ОД ОХРИД, ЕВРОПСКИОТ ПАТ ОСТАНУВА ЕДИНСТВЕНИОТ ПАТ ЗА ПОЛНОПРАВНО ЧЛЕНСТВО ВО ЕУ

კავკასია – „სამყაროს დავიწყებული ცენტრი“...

გერმანელი ჟურნალისტი სტალინის ლექსებით მოიხიბლა

წევრი არ არის, მაგრამ ევროკავშირის დროშა თბილისში ყოველ მეტრში ფრიალებს. ამის მიზეზი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსია, რომლის ერთ-ერთ დადასტურებას ბრიუსელის მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მიცემა წარმოადგენს. გარდა ამისა, საქართველო 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზეც ფართოდ იქნება წარმოდგენილი.

გერმანიის გავლენიან და პოპულარულ გაზეთ „ფრანკფურტერ ალჰემეინე ცაიტუნგში“ (Frankfurter Allgemeine Zeitung) დაბეჭდილი სტატია გერმანელი ჟურნალისტის – სანდრა კეგელის თვალით დანახულ საქართველოს ასახავს. მასში ვრცლადაა საუბარი როგორც თანამედროვე საქართველოზე, ისე საბჭოური პერიოდის რესპუბლიკაზეც. ავტორი განსაკუთრებით დაინტერესებულია გორში მდებარე იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის ექსპონატებით, რომელთაგან ერთ-ერთ სურათზე ბელადის ახალგაზრდობაა ასახული: სოსელო საწერ მაგიდასთან ზის, ლექსებს წერს და შორეთს სევდიანად გასცქერის...

ავტორი თავის სტატიასაც სოსელოს ლექსით იწყებს:

„და ამ იმედით გატაცებულსა
სული მიხარის, მშვიდად ძგერს გული:
ნუთუ წრფელია იმედი ესე,
ჩემდა იმა დროს მოვლინებული?!“.

გერმანელი ჟურნალისტი მოხიბლულია რომანტიკული ლექსებით „დილა“, „და იმედები მიღორძინდება“, „მთვარეს“, „მოხუცი ნინიკა“ (ინგლისური ვერსიით) და წერს, რომ სტალინს რომ პოეტობა გაეგრძელებინა, კაცობრიობა, ალბათ, სხვანაირი იქნებოდა.

„იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი მსოფლიოში განუმეორებელია, თუმცა ის შეიძლება პეკინში არსებულ მაო ძედუნის მუზეუმს შევადაროთ. ამ ორ მუზეუმს ერთმანეთთან თანამშრომლობა აკავშირებთ“, – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

სტატიაში ყურადღება ეთმობა კავკასიაში, „ორ ზღვას შუა მდებარე საქართველოს“ მდგომარეობას, რომელსაც ჩრდილოეთიდან რუსეთი ესაზღვრება.

„სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკიდან, დემოკრატიის თვალსაზრისით, ყველაზე მეტ პროგრესს საქართველომ მიაღწია. მართალია, საქართველო ევროკავშირის

ავტორი ესაუბრება ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორს მედეა მეტრეველს, რომლის თქმით, ევროპამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის საქართველოს შესახებ:

„ევროპელებს საქართველო აშშ-ის შტატ ჯორჯიაში ეშლებათ. არადა, ქართველი ერი მსოფლიოს უძველეს ერებს მიეკუთვნება, ჩვენ გვაქვს საკუთარი ენა, ანბანი და ლიტერატურა, რომელიც მეხუთე საუკუნიდან მოდის“.

როგორც თბილისში არსებული გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელი შტეფან ვაკვიცი ამბობს, „თანამედროვე საქართველოში ერთმანეთთანაა შერწყმული საბჭოური წარსული, დასავლური მოდერნი და ორთოდოქსული მართლმადიდებლობა“. აღსანიშნავია, რომ მან დაწერა ფრიად საინტერესო წიგნი კავკასიის შესახებ: „სამყაროს დავიწყებული ცენტრი“.

სანდრა კეგელი წერს, რომ საქართველოდან ამჟამად ბევრი მოქალაქეა წასული საზღვარგარეთ მიგრანტების (ლტოლვილების) სახით, მათ შორის მწერლებიც არიან. გერმანიაში საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობს ქართველი მწერალი ქალი ნინო ხარატიშვილი (მოკლედაა გადმოცემული მისი ცნობილი წიგნის „მერვე სიცოცხლის“ შინაარსი, რომელმაც გერმანიაში რეზონანსი გამოიწვია). პუბლიკაციის ავტორი ესაუბრება მწერალ ანა კორძაია-სამადაშვილს და პარალელურად ქალების როლზე საუბრობს საქართველოს ისტორიაში. „საქართველოს ისტორია ეს ნგრევისა და შენების პერმანენტული ქრონიკაა. საქართველო ოდესღაც რომის იმპერიის ნაწილიც იყო და უძველესი „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანაც, საუკუნეების განმავლობაში მას თავს ესხმოდნენ ოსმალები, სპარსელები, არაბები, მაგრამ საქართველო დღემდე არსებობს. ქართველი ქალები ქვეყნის ყოველ მძიმე პერიოდში ენერგიას არ იშურებდნენ. 1801 წლიდან საქართველო, მცირე პერიოდის გამოკლებით, ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა მის დაშლამდე. რუსეთს დღემდე აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, 2008 წლის ომის შედეგად“.

პუბლიკაციაში აღწერილია თბილისის ღირსშესანიშნაობები, ძველი ქალაქის ქუჩები, არქიტექტურა, ქართული კულტურის ძეგლები... მასში ნათქვამია, რომ თანამედროვე მინაბეტონის შენობები ძველ ქალაქის იერ-სახეს ხშირად არ ეთანხმება.

„კავკასიური ქვეყანა, სადაც ლიმონი და ფორთოხალი ხარობს, ბევრს იტალიას აგონებს. ქართული ღვინო სტუმრებს თავბრუს ახვევს... ვფიქრობ, შტეფან ვაკვიცმა თავის წიგნში **„კავკასიური ბედნიერების“ ფორმულაც ამოხსნა, რომელიც ამ ქვეყანაში ტურიზმს ავითარებს და გარკვეულწილად სოსელოს „ბედნიერ იმედებსაც“ ეხმაურება“,** – ასე მთავრდება „ფრანკფურტერ ალჰემეინე ცაიტუნგში“ გამოქვეყნებული სტატია.

ნაფიცმა მსაჯულებმა მაგდა პაპიძეს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს

თბილისის საქალაქო სასამართლო მაგდა პაპიძის საქმეზე ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილ ვერდიქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

სასამართლოს განცხადებას მედიანიუსი უცვლელად გთავაზობთ:

„2016 წლის 4 ივლისს, ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღეს და ბრალდებული 25 წლის მ.პ, დამნაშავედ ცნეს ოჯახურ დანაშაულში, კერძოდ, წინასწარი შეცნობით დამამძიმებელ გარემოებებში, მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის განზრახ მკვლელობის ჩადენაში.

თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელი ვერდიქტი სათათბიროდ განკუთვნილ პირველივე სამ საათში – 2 საათსა და 35 წუთში, ერთხმად – 12 ხმით მიიღეს. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში, ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი ერთხმად მიიღეს.

მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობას არ მიიღებენ სასჯელის დანიშვნის სხდომაში, რომელიც გაიმართება თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2016 წლის 6 ივლისს 11:00 საათზე. ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსი 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა არსებითი განხილვის 16 სხდომა, დაიკითხა ბრალდების 57 მოწმე, მათ შორის თავად ბრალდებული და დაცვის 2 მოწმე.

გამამტყუნებელი განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად, საკასაციო წესით, გასაჩივრდეს თბილისის საapელაციო სასამართლოში, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას.“

„DER TAGESSPIEGEL“ (გერმანია): როგორ სარგებლობენ ქართველი კრიმინალები თავშესაფრის მიღების გერმანული სისტემით

ბრალდება მართლაც მძიმეა: მძარცველთა ბანდები, რომელთა წევრები ქართველები არიან, გერმანიაში ბინებს და მაღაზიებს ძარცვავენ. ზარალი საკმაოდ საგრძნობია: ასობით მილიონი ევრო. ბევრი გერმანელისთვის, რომელთა ბინაც იქნა გაძარცული, მიღებულ შოკს ჯერ ვერ გაუვლია – ისინი საკუთარ სახლში, ოთხკედელს შორის, თავს დაუცველად გრძნობენ. მაგრამ ამის გარდა სხვა ნეგატიური მომენტიც არსებობს: „კრიმინალი ქართველები თავშესაფრის მიღების უფლებით სარგებლობენ, – ამბობს გერმანიის სისხლის სამართლის ფედერალური პოლიციის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე **ანდრე შულცი, – ისინი განცხადებებს წერენ, თუმცა ძალიან კარგად იციან, რომ თავშესაფრის მიღების ნულოვანი შანსი აქვთ. სანამ მათ განცხადებას შესაბამისი ორგანოები იხილავენ, საკმაო დრო გადის, თითქმის ერთი წელი. ამ პერიოდის განმავლობაში კი ისინი ქურდობას და ძარცვას იწყებენ“.**

კრიმინალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ გასულ წელს რეგისტრირებულია 8085 ეჭვმიტანილი ქართველი. განსაკუთრებით ბევრი ძარცვა ხდება სამხრეთ გერმანიის მხარეებში. ანდრე შულცის თქმით, ქართველი კრიმინალების „დავერბოვკება“ გერმანიაში შემოსვლამდე ე.წ. „კანონიერი ქურდების“ მეშვეობით ხდება („კანონიერი ქურდები“ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მაფიოზური ბანდების ხელმძღვანელთა სინონიმია, რომლებიც ადრე შრომა-გამასწორებელ ბანაკებში იყვნენ, დღეს კი თავისუფლად აკონტროლებენ კრიმინალური სამყაროს ქსელებს. მათ რიგებში მკაცრი იერარქია არსებობს და საკუთარი „ღირსების კოდექსი“ მოქმედებს).

რადგანაც გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საქართველოს ხელისუფლებას უვიზო რეჟიმის შემოღება აღუთქვა, არის იმის საფრთხე, რომ გერმანიაში კიდევ უფრო მეტი ქართველი შემოვა ქურდობა-ძარცვის მიზნით. ასე რომ, არაა გამორიცხული, რომ ქართველი კრიმინალების მოძალების გამო სამხრეთკავკასიური ქვეყნის მოსახლეობა მთლიანად დაისაჯოს (ანუ უვიზო რეჟიმი ვერ მიიღოს).

„ჩვენთვის ეს მიუღებელი და უსამართლო იქნება, – ამბობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი, რომელიც კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა მეთოდებს გვთავაზობს – **გერმანიის, საქართველოს და სხვა სახელმწიფოთა სტრუქტურებმა, დამნაშავეთა ბრძოლის მიზნით, ერთმანეთთან თანამშრომლობა უნდა გააღრმავონ... სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2014 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, მაგრამ ეს დოკუმენტი ძალაში დღემდე არ შესულა. რატომ? იმიტომ, რომ გერმანულ მხარეს მისი რატიფიცირება ჯერაც არ მოუხდენია“.** გარდა ამისა, ქართულმა მხარემ, ბერლინში მოქმედ თავის საელჩოში, გერმანიის პოლიციასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით, 2015 წელს საპოლიციო ატაშე დანიშნა. თბილისი ასევე თანახმაა სპეცსამსახურებს შორის უფრო აქტიურ კონტაქტებზეც.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი მღებრიშვილი** უარყოფს იმას, რომ ევროპული კრიმინალური სქემების შექმნაში საქართველოში მცხოვრები „კანონიერი ქურდები“ მონაწილეობენ: **„ჩვენთან „კანონიერი ქურდები“ მხოლოდ ციხეში სხედან“.**

მართლაც, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მთავრობა წარმატებით ებრძოდა ორგანიზებულ დამნაშავეობას და, შესაბამისად, „კანონიერი ქურდების“ მართვის სტრუქტურები პრაქტიკულად განადგურებულია.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველა „კანონიერი ქურდი“ გალიაში არ ჩამჯდარა – საკმაოდ ბევრმა რეციდივისტმა ჯერ სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში ჰპოვა თავშესაფარი, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში გადაბარგდნენ, მაგალითად, ესპანეთში, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინათ „კანონიერი ქურდი“ კახაბერ შუშანაშვილს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ერთ-ერთი მის თანამოაზრეს მიუნჰენში მოქმედი ბანდებიდან ფული შეკრება ჰქონდა დავალებული. კახაბერ შუშანაშვილის ძმასლაშა შუშანაშვილს საქართველოში ცნობილი „კანონიერი ქურდის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი და ისინი ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან: ასეთია მათი პროფესია.

მძარცველთა ბანდის წევრები წინასწარ ზვერავენ პოტენციური დანაშაულის ადგილს, სწავლობენ სიგნალიზაციის სისტემას როგორც საცხოვრებელ სახლებში, ასევე მაღაზიებში. ისინი იპარავენ არამხოლოდ ძვირფას საგნებს, არამედ ხელს აყოლებენ სიგარეტს, ალკოჰოლურ სასმელებს, ტანსაცმელს... მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა საკუთარ ქვეყანაში კრიმინალს წარმატებით ებრძვის, გერმანიაში მომზადებული დამნაშავეობის სტატისტიკური ანგარიშები, რასაკვირველია, თბილისისთვის გარკვეულ პრობლემებს ქმნის: **საქართველო უფრთხილდება თავის რეპუტაციას, მას სურს ინვესტიციები მიიზიდოს სუსტი ეკონომიკის გასავითარებლად და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.**

სილვია შტოიგერი

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ, ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲡᲜ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ Უ�პᲐᲡᲣᲮᲝᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲡ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲡ, ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲔᲠᲗᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲛᲢᲙᲘᲪᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ, ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲜᲯᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲜ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲜᲚᲘᲕᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲩᲐᲚᲘᲛ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲔᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ 2008 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ.

ᲛᲐᲚᲐᲘᲖᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲓ ᲐᲑᲣ ᲑᲐᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲞᲣᲩᲝᲜᲒᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑ „ᲛᲝᲕᲘᲓᲐᲨᲘ“. ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 15 ᲙᲐᲪᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲓᲘ JUNO ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲜᲐᲡᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ 35 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲗᲝ Juno-ᲘᲡ ᲫᲠᲐᲕᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲖᲝᲜᲓᲘ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲞᲘᲚᲝᲢᲗᲖᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲔᲕᲐᲓ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲤᲠᲔᲜᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ. Juno-Ს ᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲕᲘᲓᲔᲝᲙᲐᲛᲔᲠᲐᲪ, ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ.

ᲝᲠᲛᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲐ ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲓᲐ

ᲣᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲜᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲝᲑᲐ „Tempo Argentino“-ᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ, ᲡᲪᲔᲛᲔᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲧᲐᲠᲔᲣ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲛᲡᲮᲕᲠᲘᲔᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲛᲐᲣᲠᲘᲡᲘᲝ ᲛᲐᲙᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲛᲐ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲐᲥᲢᲨᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ 28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲝᲡᲔᲡᲢᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘ�კᲔᲑᲘᲓᲐᲜ — ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲐᲯᲘ�კᲔᲗᲘᲓᲐᲜ — ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲔᲑᲘᲪ. „ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲐᲥᲢᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ“, — თქვა თურქეთის პრეზიდენტმა.

◎ ᲞᲐᲢᲘᲕᲒᲔᲑᲐ

ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐ ᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘᲕᲔ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲥᲘᲠᲣᲠᲒᲡ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ?



ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲔᲚᲘᲡ“ (ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ — ᲝᲗᲐᲠ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ) ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ ᲤᲝᲗᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ, ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲨᲘᲕᲔ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲫᲘᲠᲫᲕᲔᲚᲛᲐ ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲛᲐ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ.

ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲪᲜᲝ ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲤᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ, ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲥᲣᲩᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲝᲓᲐ. „ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲠᲝᲛ, ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲯᲝᲠᲯᲨ ᲑᲣᲨᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲠᲝᲛ, ᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲐ. ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝ�გᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ“, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ. ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲩᲠᲝᲡ ᲡᲙᲐᲚᲞᲔᲚᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲥᲘᲠᲣᲠᲒᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲤᲔᲠᲜᲔ. **„ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ, ᲧᲠᲛᲝᲑᲐ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ. ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ 270-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ. ᲛᲔᲪ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲘᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ, ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲛᲐᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ“, —** განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ოჩამჩირის მკვიდრმა რამინ საჯაიამ.

ᲖᲣ�გᲓᲘᲓ-ᲪᲐᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲛᲐ ᲛᲔᲣᲤᲔ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔᲛ ᲓᲐᲚᲝᲪᲐ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲦᲕᲗᲘᲡᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲗᲘᲡ ᲮᲐᲢᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ. **„ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲢᲝ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲥᲘᲠᲣᲠᲒᲔᲑᲘ ᲐᲦᲖᲐᲠᲓᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲙᲐᲪᲘᲐᲪ...**

მოვა დრო და ლეო ბოკერიას იუბილეებს ოჩამჩირეშიც გადავიხდით“, აღნიშნა მეუფე გერასიმემ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲛᲡᲮᲓᲝᲛᲜᲘᲪ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ 76 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 50 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲛᲔ�გᲠᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ, ᲛᲔᲓᲚᲘᲡ, ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ, ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲗᲣ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛᲓᲦᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲭᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲚᲕᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ.

„ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲮᲐᲓᲝᲗ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲪ. ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗ. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ — ᲛᲝᲕᲔᲡᲬᲠᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ“, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲐᲡᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲚᲔᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ, ᲐᲡᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲚᲐᲓᲝ ᲫᲘᲠᲘᲐ,
ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘ

◎ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲙᲐᲢᲐ-ᲗᲐᲒᲕᲝᲑᲐᲜᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲔᲜ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ: ᲗᲐᲕᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲐᲪᲓᲣᲠᲘ ᲤᲘᲡᲝᲠᲘ“ ᲗᲣ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲬᲠᲣᲬᲣᲜᲔᲑᲘ“? ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ?

ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ ᲥᲐᲚᲘᲡ **ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐᲡ** (37 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ), **ᲡᲘᲧᲕᲐᲗᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ** (24 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ), **ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ** (14 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ), **ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ** (10 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ), **ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲐᲡ** (8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ), **ᲡᲘᲜᲐᲖᲔᲡ** (4 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ), **ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘ�გᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ** (3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ).

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

◎ მხატვრული ტანვარჯიში

ფაქავა კვარცხლბეკს გაუმინაურდა

ბერლინში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს თასის ეტაპი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესმა სპორტსმენებმა იასპარეზეს. მათ შორის ორი ქართველი გახლდათ. რიოს ოლიმპიადის ლიცენზიატმა სალომე ფაჟავამ ბოლო დროს წარმატებებს მიგვაჩვია და ტრადიციას არც ამჯერად უღალატა. გერმანიის დედაქალაქში მან მრავალჭიდში 73.150 ქულას მოუყარა თავი და ბელარუს კატსიარინა ჰალკინასთან ერთად ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. პირველ-მეორე ადგილებზე რუსი დინა ავერინა (74.050) და ბელარუსი მელიტინა სტანიუტა (73.900) გავიდნენ. მეხუთე ადგილი ცნობილ უკრაინელ ტანმოვარჯიშე ჰანა რიზატდინოვას (72.750) ხვდა. მრავალჭიდში ვიქტორია შელიამ 64.100 ქულით მე-19 ადგილი დაიკავა.

ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც სალომე ფაჟავამ ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა: ბურთით 18.100 ქულა მიიღო და მესამე იყო. ოქროს და ვერცხლის ჯილდოები დინა ავერინამ (18.850) და მელიტინა სტანიუტამ (18.550) გაიანაწილეს. ლენტით ვარჯიშში სალომემ, სტანიუტას მსგავსად, 18.350 ქულა დაიმსახურა და ორივე სპორტსმენს „ბრინჯაო“ ერგო. პირველ-მეორე ადგილები ავერინამ (18.600) და რიზატდინოვამ (18.550) დაიკავეს. სალომე ფაჟავას მაყურებელთა გამოკითხვის შედეგებით „მის შეჯიბრების“ პრიზი ფადაეცა.



გივი გაგუა

სურათზე: სალომე ფაჟავა.

◎ ფარიკაობა

მედლები სტუმრებსაც ერგოთ

აჭარის დედაქალაქში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ზაურ თავაძის მემორიალი ფარიკაობაში. საპრიზო ადგილებისთვის მასპინძლებთან ერთად სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. განსაკუთრებით სომეხმა სპორტსმენებმა იყოჩაღეს, რომლებმაც სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, აზერბაიჯანელებს თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ ერგოთ. სახეობების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ხმალში – ნიკა ჭეიშვილი და მარიამ აფციაური (ორივე – თბილისი), რაპირაში – თემურ ჟუჟუნაშვილი (რუსთავი) და ანაიტ ალოიანი (სომხეთი), დაშნაში – ვაგან გრიგოიანი და სვეტლანა ნაზარიანი.

ლექსო ციწცაძე

◎ კალათბურთი



ზაზა ფაჩულია „გოლდენ სტეიტში“ გადავიდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების 32 წლის კაპიტანი ზაზა ფაჩულია „გოლდენ სტეიტში“ გადავიდა, აღნიშნულ ინფორმაციას Yahoo ავრცელებს. წყაროს ცნობით, ზაზამ ჩემპიონებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაშიც ქართველი კალათბურთელი 2.9 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

„გოლდენ სტეიტმა“ გუნდის მთავარი ცენტრი ენდრიუ ბოგუტი „დალასში“ გაუშვა, რაც, დიდი ალბათობით, იმას ნიშნავს, რომ ზაზა ძირითად ცენტრად აიყვანეს.

განვლილ სეზონში ფაჩულია საშუალოდ ერთ შეხვედრაში 8.6 ქულას, 9.4 მოხსნას და 1.7 პასს აკეთებდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ, „გოლდენ სტეიტმა“ ნბა-ს ერთ-ერთი ვარსკვლავი კევინ დურანტი დაიმატა.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

მიკელსენმა პოლონეთის რალი მოიგო

„ფოლკსვაგენ პოლოთი“ მოასპარეზე ანდრეას მიკელსენმა პოლონეთის რალიზე გაიმარჯვა, რაშიც მას ესტონელი ოტ ტაენაკის უიღბლობამ შეუწყო ხელი. ტაენაკი რბოლის მეორე სპეცმონაკვეთიდან ჩაუდგა რბოლას სათავეში და ბოლოსწინა სპეცმონაკვეთამდე წინ არავინ გაუშვია. თუმცა გადამწყვეტ მომენტში, წინა მარჯვენა ბორბალი დაეშვა, რაზეც 40 წამი დაკარგა და წინ ნორვეგიელი გავიდა.

ბოლო, სუპერ სპეცმონაკვეთზე, მიკელსენმა კიდევ უფრო გაზარდა ტაენაკთან უპირატესობა და კარიერაში მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე გამარჯვება იზეიმა. ესტონელს მეორე ადგილის შენარჩუნებაც გაუჭირდა, თუმცა ორი წამით მაინც აჯობა „ჰიუნდაის“ ახალზელანდიელ ჰეიდენ პადონს, სამი წამით კი ასევე „ჰიუნდაის“ წევრი ტიერი ნოივილი ჩამოიტოვა. მხოლოდ მე-6 ადგილს დასჯერდა ჩემპიონატის ლიდერი სებასტიან ოჟიე, რომელსაც თანაგუნდელმა იარი-მატი ლატვალამაც აჯობა. სწორედ ლატვალამ მოიგო სუპერ სპეცმონაკვეთი და ამისთვის სამი ქულაც დაიმსახურა, ოჟიე კი მეორე ადგილს და ორ ქულას დასჯერდა.

მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ეტაპს ფინეთი უმასპინძლებს, სადაც რბოლა 28-31 ივლისს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მძლეოსნობა

თბილისი ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს

13 ივლისიდან თბილისი ევროპის მძლეოსნობის 2016 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირი სიმბოლურად 20.16 საათზე გაიხსნება, ხოლო უშუალოდ შეჯიბრებები, რომელშიც მონაწილეობას 52 ქვეყანა და 1200-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს, 14 ივლისს აიღებს სტარტს.

საქართველო ევროპის ჩემპიონატზე 12 სპორტსმენით იქნება წარდგენილი: ნინო წიქვაძე – ეროს ტყორცნა, ლაშა-გიორგი გურგენიძე – ეროს ტყორცნა, ბადრი ქიმაძე – ბირთვის კვრა/ბადროს ტყორცნა, დავით ოჩიგავა – ეროს ტყორცნა, საბა სოსელია – ჭოკით ხტომა, გიორგი კეთილაძე – ბირთვის კვრა, რომან ბადრიძე – სიგრძეზე ხტომა, გიორგი დავითაშვილი – ბადროს ტყორცნა, დავით ლუკავა – 400 მ/ თარჯრბენი, საბა ხვიჩავა – 2000 მ/წინაღობები, ივანე ძოძუაშვილი – ამანთრბენი, თამთა ღვინიაშვილი – 2000 მ/წინაღობები.

„თბილისი 2016“ არის მიმდინარე წლის ყველაზე მასშტაბური ღონისძიება, რაც უნდა ჩატარდეს საქართველოში. ეს არის ასევე ისტორიული ღონისძიება, იმიტომ, რომ პირველად ტარდება ევროპის მასშტაბით. ეს პირველი ევროპის მძლეოსნობის ახალგაზრდული ჩემპიონატია. მსგავსი ურთიერთთანამშრომლობა კიდევ ბევრ წარმატებას მოუტანს როგორც ქართულ სპორტს, ისევე – ქართულ ბიზნესს“, –განაცხადა საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსი ახვლედიანმა.**

შეგახსენებთ, რომ მომავალ ტურნირს ახალი თბილისის ტერიტორიაზე მდებარე მძლეოსნობის არენა უმასპინძლებს, რომელიც 3000 მაყურებელზეა გათვლილი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ისლანდიის ნაკრებს სამშობლოში დახვდნენ, როგორც გმირებს

ისლანდიის ნაკრები საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. დედაქალაქ რეიკიავიკში ნაკრებს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

ისლანდია ტურნირის მასპინძელთან, საფრანგეთის ნაკრებთან მეოთხედფინალში ანგარიშით 2:5 დამარცხდა. მიუხედავად მარცხისა, ისლანდიელებისთვის ტურნირი მაინც წარმატებულად ჩაითვალა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაკრების წევრებს, როგორც ჩემპიონებს და ეროვნულ გმირებს, ისე დახვდნენ.

ევრო 2016 და ფრანგ მამაკაცთა დარდები

საფრანგეთში, თურმე, ევროპის ჩემპიონატის დროს იქაურ სიძვის დიაცებს, უცხოელ ქომაგ მამაკაცთა სიმრავლის გამო, მომსახურების ტარიფები ისე გაუზრდიათ, რომ ბეჩავი ფრანგი მამაკაცები დაბღვერილები დადიან და იმ დღეს წყევლიან, როდესაც მათ ქვეყანაში პირველი უცხოელი ქომაგი ჩავიდა.

ფრანგები იძახიან, ჩვენს ქალებს ახლა უკვე ცეცხლის ფასი ადევთ და იმაზე ფინთი სანახავი არაფერია, ფულიანი ბრიტანელი თუ აპენინელი ჯენტლმენები როგორ ძალუმად ბუბნიან ფრანგ ქალებს და ამ დროს ჩვენ იმის სახსარიც კი არა გვაქვს, ასე გაძვირებულ სექს-ტარიფებს შევეჭიდოთო.

აი, ახლა არის საჭირო საფრანგეთში ერთი კარგი კოხტა პარტიის ჩამოყალიბება, რომელიც საკუთარ წინასაარჩევნო ლოზუნგს ასე ჩამოაყალიბებდა: სექსი 20 ევრო, ტინგიცობა 5 ევრო, ღიმილი უფასო. მაგრამ აბა ფრანგებს სადა აქვთ ბედი? მსგავსი ხელიხელსაგოგმანი ლოზუნგები მხოლოდ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში იქმნება!

როსტომ რაჭველიშვილი

ნარჩენების მართვა საქართველოში

სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვა საქართველოში კვლავ ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა. ეს განსაკუთრებით ზაფხულში იქცევს ხოლმე ყურადღებას, როცა მოუწესრიგებელი ნარჩენები ყოველდღიურად გვხვდება თბილისსა თუ, უფრო მეტად, მის მიღმა ქუჩებში.

ნარჩენების მოწესრიგების ფუნქცია საქართველოში მუნიციპალიტეტებსა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს შორის არის გადანაწილებული, არასამთავრობო ორგანიზაციები კი, როგორც წესი, აკვირდებიან იმას, თუ როგორ ართმევს თავს ხელისუფლება თავის ფუნქციებს.

ამჯერად, 2015-2016 წლებში, ორგანიზაციებმა ICMA-მ და CENN-მა კახეთსა და აჭარაში ნარჩენის მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევა ჩაატარეს.

კვლევამ ამ ორ რეგიონს შორის მსგავსი და განსხვავებული ტენდენციები გამოავლინა. ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ისაა, რომ აჭარაში ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა შედარებით უკეთ აქვთ ათვისებული, ვიდრე კახეთის რეგიონში.

CENN-ის ინფორმაციით, კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანული მასალა, ქაღალდი და პლასტმასი ნარჩენების ის ძირითადი ნაკადებია, რომელიც სამიზნე რეგიონებში წარმოიქმნება. მათი პროცენტული შემადგენლობა მნიშვნელოვნად აღემატება ამ რეგიონებში წარმოქმნილ სხვა ტიპის ნარჩენებს. პროცენტული თანაფარდობა ნარჩენების ნაკადებს შორის ასე გამოიყურება: 42.72 % — კახეთი, 36.61 % — აჭარა.

არსებული ინფორმაციით, კახეთის რეგიონის ნაგავსაყრელებზე ქვეყანაში მოქმედ საწარმოთა წარმომადგენლები პერიოდულად პლასტმასის, პოლიმერული ნაწარმის, პლასტმასის პეტ ბოთლებისა და მუყაოს ნარჩენებს აგროვებენ და გადამმუშავებელ საწარმოებს აწვდიან. პლასტმასის რესურსი რეგიონში საკმაოდაა და მისი ნედლეულად გამოყენების შემთხვევაში ნაგავსაყრელზე მინიმუმ 10-15 %-ით შემცირდება პლასტმასის მოცულობა. აღსანიშნავია ასევე, რომ არაორგანიზებულად და სათანადო წესებისა და ნორმების დარღვევით ხდება მინის ტარის (კახეთი — 5.95 %, აჭარა — 5.02 %) შეგროვება და მეორადი გამოყენება.

რაც შეეხება ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენს (კახეთი — 11.19 %, აჭარა — 14.7 %), ის ნაგავსაყრელზე თავსდება და იმარხება. აჭარაში მუყაოს ნაწილი კომერციულ ობიექტებსა და ბაზრობებზე გროვდება, იპრესება და ექსპორტზე გადის, ხოლო ქაღალდის ძალიან მცირე ნაწილი ადგილზე მუშავდება. კახეთში ადგილზე, სამწუხაროდ, არც ერთი გადამმუშავებელი საწარმო არ არსებობს.

გადამმუშავებელი სექტორის კუთხით, შედარებით განსხვავებული სიტუაციაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. რეგიონში მოქმედებს შვიდი მცირე წარმადობის მეორადი ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმო, რომლებიც ძირითადად მუნიციპალური ნარჩენებიდან არაორგანიზებულად შეგროვებულ მეორად ნედლეულს ამუშავებენ და ექსპორტზე გააქვთ, რაც ცალკეულ კომპონენტთა საერთო მოცულობის 20-30 %-ს შეადგენს. როგორც მკვლევარები ამბობენ, ახლანდელი სეზონური კვლევის პასუხები უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობას.

ამ კვლევებზე დაყრდნობით, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია განხორციელდეს საჭირო აქტივობები და სხვადასხვა სახეობისა და მახასიათებლის ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოები შეიქმნას.

ნინო გელაშვილი

◎ შევამჩნიეთ, ვაზუსტებთ!

ჩვენი გაზეთის 29 ივნისის („ს. რ“. №119) ნომერში რუბრიკით „ერთი საღამოს რეპორტაჟი“ გამოქვეყნდა მამუკა ვაშაკიძის წერილი ვეტერან ენერგეტიკოსებზე — **„სიურპრიზებითა და სიყვარულით სავსე დღე“**. მესამე აბზაცში გაიპარა დასანანი შეცდომა „საქრუსენერგოს“ ნაცვლად დაიბეჭდა **„საქენერგო“**. ავტორი ბოდიშს უხდის **„საქრუსენერგოს“** წარმომადგენელს ბატონ რომეო მიქაუტაძეს უნებლიე კორექტორული შეცდომის გამო.

პატივისცემით
მამუკა ვაშაკიძე

სულთათანა

სამარადჟამოდ პირმოუკრავი იარა

ნელი გელაშვილი-გადელიას მონატრება

„ცოტაც გეცლია, რა უცებ მოხველ, რა უცებ მოხველ, ღმერთი არა გწამს?“

ეს საყვედურიანი სიტყვები პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა სიკვდილის მისამართით წამოაცდენინა ადამიანს, ვის კართანაც, თავისი აზრით, ნაადრევად ჩაიჩოქა აქლემმა.

...უიშვიათესი გამონაკლისის გარდა თვით საუკუნოვან მიჯნას გადაბიჯებულთა შორისაც ძნელად თუ უნახავს ვინმეს მავანი სიცოცხლით „გამძღარი“ და შენ როგორღა იქნებოდი ასეთი ჩვენო საყვარელო ქალბატონო ნელი — ოჯახის ჭეშმარიტო დედაბურჯო, საუცხოო მეუღლევ და თანამეცხედრის უერთგულესო მეგობარო, საუკეთესო დედავ და მეგობარო, შესანატრი, მომხიბლავი პიროვნული თვისებებით უხვად დაჯილდოებულო ადამიანო...

თითქოს სწორედ შენთვის ეთქმევინებინოს, ჩვენო ნელი, ბატონ ჯანსუღს თავისი ლექსის ზემოთ ნახსენები სტრიქონები, რადგან ამ ოთხი წლის წინათ, როდესაც სააქაოს გაეცალე, მთელი შენი ცხოვრების მანძილზე ნაოცნებარი იწყებდა ახდენას — გაიგე, რომ შენი დედისერთა დათო, თქვენი ნალოლიავები ოჯახის იმედი და მომავალი — ზაზაძეების თვალხატულა და საამოდ აღნაგ ქალიშვილზე იყო გულშევარდნილი.

მალე იქორწინეს კიდეც და მანამდე შეუგრძნობ უდიდეს სიხარულსაც გაზიარეს — პატარა დემურიკო ჩაგიგორეს კალთაში. ვაგლახ რომ, უმძიმეს სენშეყრილს რამდენიმე თვით მოგეცა მისი მოფერების საშუალება...

მართლაც უღმერთოა სიკვდილი!

არც დროა ყველაფრის მკურნალი. სწორედაც რომ, პირიქით: შენი გარდაცვალებიდან განვლილი დროის მანძილზე ოჯახის მეორე დიდი სიხარულის — იოანეს დაბადებამ გაგვიორმაგა კი არა, გაგვიათმაგა ტკივილის შეგრძნება შენს გამო, რომ ამას ვერ მოესწარი...

სანამ ჩვენ ცოცხლები ვიქნებით და, რაც მთავარია, შენი შვილიშვილ-შვილთაშვილები იმრავლებენ, შენს ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია, ჩვენო საყვარელო, ჩვენთვის სამარადჟამოდ პირმოუკრავ იარად დარჩენილო ქალბატონო ნელი.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული!

მეგობარ-ახლოგლეგი

სანთელი

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, პროფესორი

ანზორ ლომინაძე

ანზორ ლომინაძე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ, ორგანიზაციულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ანზორ ლომინაძემ 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ნაყოფის ელექტროკარდიოგრამის და რეოენცეფალოგრამის მაჩვენებლები კრანიო-ცერებრალური ჰიპოთერმიის დროს“, ხოლო 1998 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პერიტონიტის პროფილაქტიკა საკეისრო კვეთის დროს. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 3 მონოგრაფია, 1 სახელმღვანელო მეანობაში. 1998 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტში პროფესორის თანამდებობაზე. ამავე წელს არჩეული იყო საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მეან-გინეკოლოგთა საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას. იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა სასერტიფიკაციო საგამოცდო კომისიის აქტიური წევრი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რაიონებში მთავარი მეან-გინეკოლოგის თანამდებობაზე და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხელმძღვანელობდა რეზიდენტთა მომზადებას. ანზორ ლომინაძის სახით მის სამეგობროს გამოაკლდა უაღრესად კეთილსინდისიერი და ერთგული მეგობარი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, მოწაფეებისა და მადლიერი პაციენტების გულში.

გამოსვენება 7 VII, 14 სთ. მისამართი: ვაშლიჯვარის დასახლება, გოძიაშვილის მეორე შესახვევი №14.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 01 ივლისის №1-1/368 ბრძანების შესაბამისად:

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2009 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა) შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელი უწყების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის ფარგლებში (კმ12+400-კმ31+259), დამუშავდა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დამტკიცდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP III).

ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან. საკუთრების გამოსყიდვის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ზოლში ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ.ზედა აჭყვაში არსებული ს/კ №20.47.04.164 უძრავი ქონების მესაკუთრე **ისმაილ კონცელიძესთან.**

ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ წარმოებული მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და განმეორებით მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (LARP III) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ.

ამავე შეტყობინებით მესაკუთრე ინფორმირებულ იქნა, რომ მისი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

შესაბამისად, თანხმობის მიუღწევლობის გამო, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, 2016 წლის 1 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/368 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ს/კ №20.47.04.164 ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე). საექსპროპრიაციო უძრავი ქონება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, ფართით 1799 კვ.მ, რომელზეც განთავსებულია 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს ბათუმის საქალაქო სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტისათვის საჭირო ფართზე.

ექსპროპრიაციის უფლება უნდა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 1 ივლისის №1-1/368 ბრძანებით განსაზღვრულ შემდეგი მესაკუთრის ქონებაზე:

ისმაილ კონცელიძის (პ/ნ 61005000739) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №20.47.04.164: მიწის ნაკვეთი ფართობით 1799 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

◎ წერილი რედაქციას

როცა ირღვევა ავტორის უფლებები

ვემიჯნები ჟურნალ „ბომონდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუს, რომელიც ჟურნალისტმა ქეთი დარჩიამ ჩამომართვა და ჩემთვის მიუღებელი აზრები მომაწერა

ჟურნალ „ბომონდის“ (რედაქტორი თეა აღლაძე) ივლისის ნომერში (დღე-დღეზე გამოდის) იბეჭდება ჩემი ინტერვიუ, რომელიც ჩამომართვა ჟურნალისტმა ქეთი დარჩიამ და ტექსტი დაგვიანებით გამაცნო, თანაც მითხრა, რომ უკვე ვეღარაფერს შეცვლიდა. ჩემი პატივისცემის მიუხედავად ამ ჟურნალის მიმართ, მე უნდა გავემიჯნო ამ ინტერვიუს. ქალბატონ ქეთის არაერთხელ ვთხოვე დაჟინებით, რომ მას ჩემთვის მოეცა შესაძლებლობა, წინასწარ გავცნობოდი ჩემს ინტერვიუს, რომელიც ეხება ჩემს ცხოვრებას, პიროვნებას, პროფესიას და ჩემს წარმომავლობას ასევე. მე მას ვთხოვე, რომ აქცენტი გაეკეთებინა ჩემს საქმიანობასა და პიროვნებაზე და არა წარმომავლობასა და მონარქიაზე, რისი დასტურიც მან არაერთხელ მომცა.

რადგან ჩემი გვარი ისტორიული გვარია, მოგეხსენებათ, ასევე ვისაუბრეთ ბაგრატიონების იმერულ შტოზე და მეფეთა შთამომავლებზე, რომელთაც მეც ვეკუთვნი, რადგან ამ საკითხზე საუბარი საკმაოდ დელიკატურია, მე არ მსურდა არც გავრცობა, არც სიღრმეებში ჩასვლა, და, მით უმეტეს, არა სწორად ინტერპრეტირება და არასწორი ინფორმაციის გაცემა, რაც ჟურნალისტმა, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა და თვითნებურად დაბეჭდა შეცდომებით ჩემი ინტერვიუ. დამახინჯდა როგორც ჩემი ცხოვრება და ყოფა, ასევე დამახინჯდა ისტორიული ფაქტები, რომელთაც მე ვემიჯნები. ეს იცის თავად ჟურნალისტმაც და თანახმაა, რომ პასუხისმგებლობა აიღოს თავის შეცდომებზე თავად და გამოასწოროს. სათაურიდან დაწყებული არ ვეთანხმები და არ მომწონს ბევრი რამ მის მიერ დაწერილი. ჟურნალისტმა ქეთი დარჩიამ ნამდვილად დაარღვია ჩემი საავტორო უფლებები და არ მომერიდება, თუ ვიტყვი, რომ ერთგვარად შეურაცხყოფაც მომაყენა.

მარი ბაგრატიონი
ქ.თბილისი

„ათონი ათასწლოვანი“

გიორგი კალანდიას რეჟისორობით შექმნილ ფილმს – „ათონი ათასწლოვანი“ სულ მალე მაყურებელი ტელეკომპანია „არტარეას“ ეთერში იხილავს.

დოკუმენტური ფილმი „არტარეას“ გადამღებმა ჯგუფმა ათონის მთაზე ერთკვირიანი მოგზაურობის შემდეგ მოამზადა.

ფილმში მაყურებელი პირველად იხილავს ათონისა და ზუგდიდის ვლაქერნის ხატში დაცული ღვთისმშობლის სარტყლის საოცარ ისტორიას, ასევე, ათონის წმინდა მთის სამი მონასტრის: ზოგრაფის, ვატოპედისა და ივერონის უნიკალურ კადრებს.

ფილმში ასახულია ძვირფასი ქართული ხელნაწერებისა და ნაქარგობების ისტორია, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიიდან გამოსვენებისა და ლიტანიობის კადრები და ამავე ხატის ქართული ასომთავრული წარწერა.

ათონის მთაზე მოგზაურობისას „არტარეას“ გადამღებ ჯგუფს საშუალება ჰქონდა ფირზე დაეფიქსირებინა ივერონის მონასტერში არსებული ქართველ ქტიტორთა ფრესკები, ზოგრაფის მონასტერში ბერების აკლდამა და კარიესში ექვთიმე მთაწმინდელის ფრესკა.

დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი გიორგი კალანდიაა, ოპერატორი – გიორგი გოგელაშვილი, ხოლო მონტაჟის რეჟისორი – სოსო ხარატიშვილი.

მოსალოდნელია ღვარცოფები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობას მოსალოდნელი ღვარცოფების შესახებ აფრთხილებს.

„გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ივლისის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექი, რამაც მეწყერული და ღვარცოფული პროცესები შეიძლება განაპირობოს. აღნიშნული პროგნოზის გათვალისწინებით, შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება დარიალის ხეობაში, საგზაო მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მოძრაობა აღდგება მას შემდეგ, რაც შესაბამისი კომპეტენციის უწყებები მეტეოროლოგიური და გეოლოგიური თვალსაზრისით გამორიცხავენ აღნიშნული რისკების დადგომის შესაძლებლობას“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, მ. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ ცინცხალი ანეკდოტები

სამი ქალი თავის ქმრებს ჭორავს:
– ჩემს ქმარს საჯდომზე ბანჯგვლები აქვს!
– ჩემასაც!
– აუ, მე კიდევ ჯერ არ დავკვირვებივარ, – ამბობს ახალგათხოვილი მესამე.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ხვდებიან.
იმ მესამეს თვალი აქვს ჩალურჯებული.
ქალები ეკითხებიან:
– მაკა, რა მოგივიდა?
– ჩემ ქმარს დავაკვირდი, იმასაც ჰქონია და გახარებულმა ვუთხარი – შენ რა ჩემი დაქალების ქმრებივით ბანჯგვლიანი ტრაკი გქონია-მეთქი.

* * *

– რით განსხვავდება კარგი მოსწავლე ცუდისგან?
– ცუდს მასწავლებლები ურტყამენ, კარგს – მოსწავლეები.

ძალ-ვაჟი კუპეში სხვა მგზავრებთან ერთად არიან. მოულოდნელად ერთმანეთის სურვილმა წამოუარათ. გოგომ შესთავაზა, „მოდი, მე გული წამივა, შენ კი ექიმივით დახმარება აღმომიჩინე“. ბიჭი დათანხმდა. გოგოს გული წაუვიდა, ბიჭმა მგზავრებს კუპის დაცლა სთხოვა. კუპე დაცალეს. „მკურნალობის“ შემდეგ გოგო ეუბნება, მიდი, ხალხი დაამშვიდე, ალბათ, კართან დგანან, ღელავენ.

ბიჭი გარეთ გამოვიდა:
– ყველაფერი რიგზეა, გთხოვთ სიჩუმე დაიცავით, ნემსი გავუკეთე და დაიძინა.

* * *

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:
– ბრალდებულო, აღიარებთ, რომ დაზარალებულს თავში ტაფა ჩაარტყით?
– დიახ, ვაღიარებ, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ ფეხები მანამდეც მოღრეცილი ჰქონდა...

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 6 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +27
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +28
თბილისი: ღამე +18, დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE